

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვჰოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 5—6 1883—1893 1—30 მარტს.

ეველაფერი კარგად არის შედგენილი, რომ ჯეროვანად სრულდებოდეს.

როდესაც სასამართლოს ახალი წეს-წყობილება გამოცხადდა საერო წოდებაში და სასამართლოდამ სრულიად განიდევნა ძველებური წესი საქმეთა წარმოებისა, მაშინვე ადიძრა კითხვა, რომ სასულიერო წოდების სამსაჯულოებშიაც მოხდენილიყო ჯეროვანი ცვლილება. მართლაც, პირველ ხანებში ბევრი სწერეს და ილაპარაკეს სასულიერო მოსამართლეების დაწესებაზედ. ბევრს სურდა, რომ ჩვენს სასულიერო წოდებაშიაც შემოეღოთ ის ახალი რეფორმები, რაც საერო წოდებაში იქმნა შემოღებული. მართლაც საერო წოდებაში შემოღებული რეფორმების წყალობით სასულიერო წოდებაშიაც, სამსჯავროს გარდა, ბევრი რამ ახალი წესი შემოიღეს. ჩვენშიაც იწყო სამღვდელოებამ სასულიერო სასწავლებლების უფროსების და სხვა თანამდებობის პირთა კენჭის ყრით აღრჩევა და სხვა ამისთანები. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ახალი წესები დიდ ხანს არ უოფილა მოქმედებაში. ყველა ესეები მალე მოისპო და ყოველივე ისევ ძველ წესზედ დადგა. ბევრი ლაპარაკი იყო სასულიერო კონსისტორიის წესდების გარდახედვის და გარდაკეთების შესახებაც, მაგრამ საქმე მით გათავდა, რომ ამ წესდების ორიოდე პარაგრაფი შეცვალეს და სხვა ყველაფერი ისევე შეუცვლელად, ძველებურად დასტოვეს. ამიტომაც ზოგიერთები, თუ

მათ რაიმე არა სანატრელი მოვლენა შენიშნეს სასულიერო წოდებაში, მაშინვე ამის მიზეზათ სასულიერო წოდებაში რეფორმის შემოღებლობას აწერენ და მთავრობას ურჩევენ, რომ კონსისტორიის წესდება შესცვალონ და ახალი წეს-წყობილება შემოიღონ. ვინც ასე ფიქრობს, მან ალბად კარგად არ იცის ჩვენს სასულიერო უწყებაში არსებული წეს-წყობილება და კონსისტორიის წესდება. არ ეფიქროთ, რომ ვინმემ იშაზე უკეთესი წეს-წყობილება და წესდებულებანი გამოიგონოს სასულიერო წოდებისათვის, რაც დღეს სუფევს და რაც მოცემული გვაქვს ჩვენ სახელმძღვანელოდ და სავალდებულოდ?

ამ სიტყვებიდგან არავინ არ უნდა გამოიყვანოს ის დასკვნა, რომ ჩვენ მომხრე ვიყოთ ძველი წეს-წყობილებისა და წინააღმდეგი ახალი რეფორმების შემოღებისა. არა; ჩვენ აქ სასულერო წოდების სულ სხვა წეს-წყობილება გვაქვს სახეში. ძველ დროში, როცა მღვდელობის ანუ ეპისკოპოსის თანამდებობაზე მოიწვევდენ ვისმეს, იგი იმალებოდა, რადგან ნიჭიერნიც უღირსად სთვლიდნენ თავის თავს ამ დიდ მოვალეობათა აღსრულებისათვის, მაგრამ ბოლოს დიდის თხოვნისა და ხვეწნის შემდეგ თანხმდებოდნენ. დღეს კი სულ სხვა სურათს ვხედავთ და ნურავინ ნუ დაგვძრახავს, თუ ჩვენ ზოგიერთი ძველი დროის წეს-წყობილება და ჩვეულება უმეტესად მოგვწონს დღევანდელზე. ჩვენს სასულიერო წოდებაში სულ სხვა წესები სუფევს და ზოგი მათი შეცვლა ზარალის მეტს არაფერს მოიტანს.

არ ვფიქრობთ, რომ დღეს ვინმე გამოვიდეს და ათ მცნებაზე უკეთესი მცნებები გამოიგონოს! ათი მცნება სავალდებულოა ყველასათვის. იგი მოგვცა ჩვენ თვით ღმერთმა ჩვენდა საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ. შეიძლება ჩვენი კეთილდღეობა, ქვეყნიური ცხოვრება და ზეციური ცხონება გარეშე ამ ათი მცნებისა? სრულებით არა. თუ ჩვენში არ არსებობს სიყვარულობა და ერთმანეთის გატანა, თუ ჩვენში ხშირი შემთხვევაა ქურდობა და მტაცებლობა, თუ ჩვენში დასუსტებულია სარწმუნოება და ზნეობა, ეს იმის ბრალი კი არ არის, რომ ათი მცნება დაძველდა და საჭირო იყოს ახალ მცნებათა გამოგონება. ამის მიზეზი ისაა, რომ ჩვენ არ ვასრულებთ იმ ათ მცნებას რიგიანად, ზეპირად ვსწავლობთ და საქმით არასოდეს არ ვასრულებთ. ესევე ითქმის ჩვენი ეხლანდელი დროის ზოგიერთ სასულიერო კანონთა ჯ დადგენილობათა შესახებაც. ყველანი ჩვენდა საკეთილ-დღეოდ და საბედნიეროდ არიან დაარსებულნი, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ რიგიანად არ ვასრულებთ და ბრალს კანონების სიძველეს ვსდებთ!... კანონი არავის არ აძლევს ნებას, იგი გახაროს ჯ დაარღვიოს. ყველა ვალდებულია, რომ კანონის გარეშე არა მოიმოქმედოს რა. მაგრამ, სამწუხაროდ, სრულებით სხვას ვხედავთ. რამდენი თანამდებობის ახალი პირიც ინიშნება, იმდენ ფერს ცვლილობს კანონიც. ერთს კანონად გაუხდია თავისი სურვილი, მეორეს ნათესავთა და მოკეთეთა დახმარება, მესამეს თავის კეთილ-დღეობა და პატივისცემა, მეოთხეს ფულები, მეხუთეს კაცის ხათრი, მეექვსეს თავისი ჯინიანობა და სხვათა კიდევ თავისი ეგოისტიური გრძნობა და სხვ... ნიადაგ კანონების აღსრულებას ვქადაგებთ და პირველად ჩვენვე ვარღვევთ მათ. ამისთვის ვართ კიდეც მოკლებული იმ ბედნიერ ცხოვრებას, რომელიც ჩვენ ყველას გვენატრება. ჩვენს სიტყვასა და საქმეს შორის დიდი ნაპრალია. სიტყვა სხვაა და საქმე სხვა. ამის მისეზია, რომ ეხლანდელი სწავლით აღჭურვილი კაცის სწავლას და სიტყვას არ აქვს ის გავლენა ხალხზედ, რაც ჰქონდა წინანდელ მცირე ნასწავლს, მაგრამ საქმით და ჭეშმარიტი ქრისტიანობრივი სიყვარულობით აღჭურვილ კაცს. ეს არის უმთავრესი მიზეზი ზოგიერთი ეხლანდელი კანონების უვარგისობისა. **თორემ ყველაფერი კარგად არის შედგენილი, რომ ყოველგვარად სრულდებოდეს.**

დეკ. დ. ლომბაშიძე

საეჭვო კითხვების განმარტების გამო.

ჩვენ ხშირად მოგვდის სამღვდელო პირთაგან წერილები, რომლებშიაც გვიხოვენ განვმარტოთ, თუ როგორ უნდა ნაწილდებოდეს შემოსავალი კრებულის წევრთა შორის, როდესაც ორ-შტატიან ეკლესიაში ორი მღვდელი და 3 მედავითნეა, ან სადაც ერთ შტატში 2 მღვდელია? რა ერგება შემოსავლიდამ თითოეულს მათგანს? როგორ უნდა გაიყონ მრევლი და ან სადაც ორი-სამი მედავითნეა და ერთი მთავარდიაკვანი, იქ ვის რა ერგება შემოსავლიდამ? ჭეშმარიტად სამწუხაროა ამ წერილების კითხვა. ამ წერილებით ტყობილობ კაცი, თუ რა დიდი უკმაყოფილება იბადება ზოგიერთ ადგილას ეკლესიის კრებულში შტატ გარეთ წევრის დანიშვნის გამო და რა დიდი უთანხმოება ხდება ხანდისხან კანონის ერთი უბრალო მუხლის დარღვევით. ამ წერილების კითხვის დროს უნებლიეთ ეკითხები შენს თავს, ნუ თუ დღემდე ეკლესიების კრებულთავის კანონები არ არის დაწერილი და გამოცხადებული? ერთი გვეკითხება: შეიძლება თუ არა ერთ შტატიან სამრევლოში ორი მღვდლის დანიშვნა? მეორე—შეიძლება ერთ შტატიან ეკლესიაზედ 2—3 მედავითნის დანიშვნა? მესამე—შეიძლება თუ არა უადგილოთ ეკურთხოს კაცი მღვდლად და შემდეგ უნაწილოდ დაინიშნოს ახლად ნაკურთხი შტატის მღვდელთან? ძლიერ გვიკვირს, რომ ამ წერილის ავტორებს ჯერეთ კიდევ არ წაუკითხავთ სასულიერო კონსისტორიის წესდებულება, რომელიც 1885 წელში ჩვენ ვთარგმნეთ რუსული ენიდგან და რომელიც დარიგებულია საეკსარხოსოის ყველა ეკლესიებზედ. რა განმარტება უნდა ამ კითხვებს? განა ამ კონსისტორიის წესდებით, რომელიც უმაღლესად დამტკიცებულია, არ არის აღკრძალული, რომ შტატ გარეთად და უადგილოდ არავინ არ უნდა ეკურთხოს და არც არავინ უნდა განწესდეს? შეიძლება ასე უადგილოდ ნაკურთხთა და განწესებულთა წილი არ ითხოვონ, მაგრამ მაინც ეკლესიებში ადგილი არ უნდა მიეცესთ მათ, რადგან მცირეს ხანში მოსალოდნელია მათგან, რომ შტატის მღვდელს და მედავითნეს მრევლს აურევენ და უკმაყოფილებას დასთესენ მათ შორის, რომ ამით თვითონ ისარგებლონ და ბოლოს ადგილი იშოვონ. ჩვენში ეკლესიის შტატების წყობილობის და ამ საგნის თაობაზე უწ. სინოდისაგან გამოცემულ განჩინებათა შინაარს და მათ განმარტებას შემდეგ ნომერში დავბეჭდავთ.

საქართველოს ახალ ექსარხოსს, მთავარეპისკოპოსს ვლადიმირს განზრახვა აქვსო მომავალ ზაფხულში სამღვდელოების კრება დანიშნოს თფილისშიო. ამ სამღვდელოების კრებას, სხვათა შორის, ამისთანა საქმეებიის შესახებაც ექნება ბაასი, და იმედია ამ დროით ისარგებლებს იგი და ხმას ამოიღებს, რომ ერთგვარი წესი დაარსდეს მთელს ჩვენს საქართველოში. სწორეთ დროა, ყურადღება მიექცეს, ვისგანაც რიგია, ამ არა სასიამოვნო მოვლენას და სამღვდელოებამაც თვითონ იზრუნოს ამ კითხვების კანონიერად გარდაწყვეტის შესახებ. ჩვენ ბევრჯერ აღვძარით კითხვა, რომ ადგილობითი მღვდელ-მთავრების სამღვდელოების საზოგადო კრება მომხდარიყო საქართველოს საეკსარხოსოში. გაცალკევებულნი მწყემსნი ხშირად მრავალს შრომობენ, მოღვაწეობენ და მედგრად ებრძვიან სხვა და სხვა არა სანატრელ მოვლენათა, მაგრამ ყოველივე ეს შრომა უნაყოფოდ მიდის, რადგან მეზობელი სამღვდელოება და ეპარქია სრულებით სხვა გზას ადგია და სხვა ზომებს ხმარობს ხალხში რომელიმე ცუდი ჩვეულების მოსასპობლად. ეკლესიის ყველა მწყემსნი უნდა ვცდილობდეთ, დაარსდეს ჩვენში ერთობა და ერთი წესი და სხვა-და-სხვა გვარათ კანონების და წესების ასრულებას ბოლო მოეღოს.

დეკ. დ. ლამბაშიძე

პედაგოგიური შენიშვნები სამრევლო სკოლის მასწავლებელთა საყურადღებოდ.

(პირველი დღე სკოლაში)

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ჩვენში სამრევლო სკოლების დაარსება შემოიღეს. ამგვარი სკოლების რიცხვი, ჩვენი ქვეყნის გულშემატკივართა სასიამოვნოდ, თან და თან ჰბარტყობს, ასე რომ ჩვენი სამშობლოს ბევრს სხვა-და-სხვა მივარდნილს და მიეიწყებულს კუთხეებშიაც დაიწყეს ამ ხალხთა განათლების, გონება განვითარების და ნივთიერად ამამაღლებელის პირველ დაწყებითი ლამპრის ანთება.

სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ბევრს სამრევლო სკოლის მასწავლებელს ჩვენში არ აქვს შესაფერისი მომზადება და პრაქტიკული გამოცდილება სწავლა-აღმზრდელობის საქმეში, არ არიან სპეციალურად მომზადებულნი თავიანთ ხელობაზედ, ისე, როგორც მოითხოვს ეხლანდელი პედაგოგიური მეცნიერება (რიგიანად მომზადებული მასწავლებლები გიმნაზიებში და სემინარიებშიაც არა გვყავს). მოუმზადებელ მასწავლებლებზე ცნობილი რუსის პედაგოგი უშინსკი სამართლიანად ამბობს—«преступникъ, убійца—тотъ—кто берется за воспитаніе, не зная его». მიუხედავად ამისა თუ მასწავლებელს საქმის სიყვარულის გამო მოუკიდია მასწავლებლობისათვის ხელი, თუ მას აქვს ცოტა მაინც მოწოდება მასწავლებლობისადმი, უყვარს სკოლა, ბავშვები, ხალისიანად მეცადინობს და მასთან ცოტათ მაინც თვით განვითარებასაც აქცევს ყურადღებას—იმ შემთხვევაში მასწავლებელი ბევრს წინ გადაღობილს დაბრკოლებას დასძლევს და პირნათლადაც ასრულებს თავის თავზედ მიღებულს დიდს და მძიმე მოვალეობას ახალ თაობის სწავლა-აღზრდისას; მაგრამ ჩვენში ყველგან ამისთანა მასწავლებლები არ არიან, ჩვენში სამრევლო სკოლებში მასწავლებლობა ბევრს მღვდლობის ხარისხის მიღების საშუალებათ გაუხდია და როცა მიზნამდის მიულწევია—შემდეგ სულ გულგრილად მოუკიდებია ხელი მასწავლებლობის საქმისათვის. პირიქით ჩვენ გვგონია, მღვდლობა უფრო უნდა ახალისებდეს ადამიანს ხალხში სწავლა-განათლების გავრცელების საქმეში; რადგანაც მღვდელი ერის კაცზედ უფრო ზნეობრივად მოვალეა ზრუნავდეს თავის ერის, მრევლის კეთილდღეობისათვის, რომელიც შეიძინება სწავლა განათლებით, პირველ დასაწყისი სასარგებლო, ცხოვრებაში გამოსაყენებელი ცნობების გავრცელებით.

ვისაც უფრო დიდი გავლენა აქვს, იმას უფრო მეტი კეთილი დათესვა შეუძლიან ხალხში. ჩვენს სამღვდელოებას სოფელში ჯერ კიდევ დიდი ღირსება და პატივი აქვს ხალხის თვალში მოპოვებული, რომელიც სამწუხაროდ თანდათან სუსტდება, რის მიზეზი უეჭველად თვითონ სამღვდელოება არის. ჩვენი ძველი სულიერი მოძღვრები ისე არ იქცევოდნენ, როგორც ბევრი ეხლანდელნი; ისინი სიტყვას ქადაგებისას, სწავლას, მოძღვრებას სულ იმაზედ აქცევდენ, რომ მამული და ეროვნობა სჯულამდე გაეპატიოსნოს, სარწმუნოებამდე აღამაღლოს, ასწიოს და ყოველივე ამ სამს წმინდას და უდიდესს საგანს, ერთად შეერთებულს, თავდადებით ამსახუროს, თავგანწირვით ამოქმედოს. აი სწორედ ამგვარმა საქებურმა მიმართულებამ ძველი სამღვდელოებისამ გაამაგრა სარწმუნოება ქრისტესი ჩვენს პატარა ქვეყანაში, რომელსაც გარშემო ვეშაპი მტრები ეხვევენ და ჰლამოდნენ ქრისტიანობა ძირიანად ამოეკვეთოთ. ამგვარმა მიმართულებამ აღამაღლა ჩვენი სამღვდელოება და დაუყენა ისეთს მაღალ ხარისხზედ, რომლისთვისაც მეფეთა ძენიც ბედნიერად ჰრაცხდენ თავის თავს, თუ ეღირსებოდენ სასულიერო წოდების კაცად გახდომას, სასულიეროში შესვლას და სამსახურსა. ამგვარი დიდი პატივი სამღვდელო პირისადმი ჩვენი—სოფლის ხალხისაგან ჯერ კიდევ მტკიცედაა შენახული და ვიმეორებ, რომ ღირსს და პატიოსან მოძღვარს ვრცელი სამოქმედო მოედანი აქვს გაშლილი თავის მრევლთა გონებითი, ზნეობითი და მატერიალურად წინ წაწევისათვის, თუმცა ის არ გაყვება კერძო ინტერესებს.

ჩვენ განვიძრახეთ—მცირე საუბრის გამართვა ჩვენებურ სამრევლო სკოლების მასწავლებლებთან, რომლებიც, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, ვერ არიან შესაფერად მომზადებულნი მასწავლებლობის ასპარეზზედ და რადგანაც ზოგიერთი მათგანი შეიძლება გამოვიდეს მშვენიერი შრომის მოყვარული, ჭკვიანი, ცოდნის შემძენი, საქმის მოყვარული, ამისათვის სამართლიანად მიგვაჩნია იმათთან ქომაგობა, საუბარი- ბაასი საჭირო, ძნელზე და საზოგადოთ სა-

ინტერესო საგანზედ. რასაკვირველია ჩვენ არაფერს ახალს არ ვიტყვით და ვერც დავპირდებით მკითხველს, მაგრამ ერთის მიერ ცნობილი ჭეშმარიტება, შეიძლება, უცნობი იქნეს მეორესათვის, რომელსაც შეუძლია გამოიყენოს საქმეში. მართალია, რომ მასწავლებელმა ბრმად არ უნდა ირწმუნოს რომელიმე მეთოდი ანუ ფორმა სწავლებისა, თვით პედაგოგიური საქმის არსებობა დამოკიდებულია თვითონ მასწავლებელზე, მის ცხოველ პიროვნებაზე; მასწავლებელმა თვითონ უნდა შეიმუშაოს მეთოდი და წესი ყველა საგნების სწავლებისა, მაგრამ ეს არ ჰნიშნავს იმას, რომ მასწავლებელს არ შეეძლოს ისარგებლოს სხვისი გამოცდილებით და რჩევით, პირიქით ის მოვალეა შეისწავლოს სხვისი მეოდებიც, რომ არ გაიმეოროს ძველი შეცდომები და ისარგებლოს ყველა მით, რაც კი გაკეთებულა მასწავლებლობის შრომის სფერაში. რადგანაც მუდამ ცოცხალი, დაუსრულებლად სხვა-და-სხვა ნაირი და აუცილებლად წინმსველი პედაგოგიური მოქმედება მასწავლებლისა არ შეძლება მთლად გათავებული, ერთს ჩარჩოში მოქცეული იყოს, ამისათვის ვერც ჩვენი რჩევა წარმოადგენს რამეს სრულად დამთავრებულს. ჩვენი აზრია, ჩვენი რჩევა უბრალო, ყველასათვის ხელმისაწვდენი, პრაქტიკულად მოსახმარი იყოს, რომ ამით მცირე დახმარება აღმოეუჩინოთ გამოუცდელს ახალ დამწყე მასწავლებელთ.—

როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი სკოლაში პირველ დღეს ახლად შემოსულ ყმაწვილებთან სწავლების მხრით? აი პირველი ჩვენი საკითხი. ბავშვებს პირველად, როცა მათ სკოლაში მიაბარებენ, ყველაფერი ეუცხოებათ, აქ სასწაყლო ნივთები, საკლასო ოთახი და მისი მოწყობილობა, მასწავლებელი, მოსწავლეთა სიმრავლე, ბევრი ბავშვი ყველა ამაებს თითქმის პირველად ჰხედავს, ყველასაგან სხვა-და სხვა ჩაბეჭდილებას იღებს, ამისათვის ისინი რომ კარგათ გაეცნონ ახალს მოწყობილებას, სკოლის წესებს, მასწავლებელს და სხვას, თავდაპირველად საჭიროა მასწავლებელი სწავლების საქმეს შეუდგეს მოწაფეებთან საუბრით. სასაუბროთ მასალას მასწავლებელი თვითონ აირჩევს, ან წაუკითხავს რასმე მოკლე მოთხრობას და წაკითხულის შინაარსს კითხვების შემწეობით ათქმეინებს მოწაფეებს, ან ებაასება სკოლაზე და მისს კუთვნილებაზე და სხ. მშიშარა ბავშვები, დაინახვენ თუ არა ალერსიანობას მასწავლებლისას, უფრო მეტის ნდობით მოექცევიან მას და მონაწილეობასაც მიიღებენ სამუშაოში. დიდი მნიშვნელობა აქვს პირველი დღის სკოლის ჩაბეჭდილებას მოწაფეზედ. პირველი ჩაბეჭდილება ყველაზე უფრო მტკიცეთ აღიბეჭდება ბავშვის სულში. ჩვენი უმეცარნი დედ-მამა ხშირად ბუნებით მკვირცხლს და ცქკიტს და ცელქ ყმაწვილს სიცელქის დროს სკოლაში გაგზავნით ემუქრებიან. რასაკვირველია ამგვარ პროტესტაში აღზრდილს ყმაწვილს სკოლა რაღაც ჯოჯოხეთურ დაწესებულებათ ექნებათ წარმოდგენილი, მაშასადამე ამ შემთხვევაში თუ მასწავლებელი ალერსით შეხვდა მოწაფეებს, გაართო ისინი, თვით ამოქმედა, ძალისებრი სამუშაო აძლია, წაახალისა სწავლების საქმეში, მაშინ მოწაფე კმაყოფილებით იელის სკოლაში და ხალისიანად მეცადინეობასაც იწყებს.

პირველ დღიდგანვე საუბრით სწავლების დაწყება საჭიროა აგრეთვე იმისათვისაც, რომ მასწავლებელმა კარგად გაიცნოს თავის მოწაფეები, რომლებიც სასაუბროების შემწეობითვე ეზადებიან სასწავლო საგნების სისტემატიურად შესწავლისათვის და მასთან თანდათან ეჩვევიან სკოლის წესიერების დაცვას, რომელიც აუცილებლათ საჭიროა სკოლის კეთილნაყოფიერებისათვის. ორი სამი დღე ხშირად საკმაოა, რომ ყმაწვილმა კარგათ გაიცნოს სკოლა და მის წესწყობილება, მის შემდეგ კი ამ მიზნით საუბარი უადგილო იქნება, მით უფრო, რომ ყველა საგნების სწავლებას თავისი მოსამზადებელი ნაბიჯი აქვს. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პირველ დაწყებითი მოსამზადებელ მეცადინეობის და სავარჯიშოების შემდეგ, როგორც წერა-კითხვის, ისე სხვა საგნების სწავლებაც უფრო წარმატებით მიდის, ვიდრე მაშინ, როდესაც ბავშვს სკოლაში შემოსვლისათანავე ან-ბანს მისცემენ ხელში და შეუბრალებლად აყვირებენ «ან», «ბან», «გან», «დონ» და სხ. პირველ დაწყებითი მოსამზადებელ მეცადინობას კიდევ ის მნიშვნელობა აქვს, რომ ბოლოს შემოსულ შაგირდებს შეძლება ექნებათ წინად შემოსულებთან ერთად ისწავლონ და მასწავლებელს შეეძლება ერთ დროს დაუწყოს მთელს კლასს ანუ განყოფილებათა თანამად სწავლება სასწავლო საგნებისა. თუ მასწავლებელს ორი ან სამი განყოფილება ჰყავს, მაშინ პირველ დღეს სწავლების საქმეს, გაკვეთილების წაყვანას, ჩვენ ასე ვურჩევთ: ჯერ მასწავლებელი ახალ შემოსულების სახელსა და გვარს ჩასწერს საკლასო დაფაში, და ჰკითხავს მათ

სათითაოდ «სწავლობდა სადმე, თუ არა, თუ სწავლობდა—რას? ანუ ვისთან? შაგირდების ოჯახობაზედ შაასი, როგორც ბევრი პედაგოგები გვირჩევენ, ჩვენ უადგილოდ მიგვაჩნია, რადგანაც შინაურობაზედ საუბარი ბავშვს ხშირად მორცხვადა ჰხდის. მცირე ხნის საუბრის შემდეგ მასწავლებელი სტოვებს თავისუფლად ახლად შემოსულებს და მეცადინობს სხვა განყოფილებაში, ეს მისთვის, რომ ახალ შემოსულები დაუკვირდნენ სკოლის წესიერებას, გაიგონ, რომ მაგალ. მასწავლებლის კითხვაზე დასახელებული მოწაფე, რომელიც ხელის აწევით აცხადებს პასუხის მიცემის სურვილს, დგება ზეზე და იძლევა სრულს და განსაზღრულს პასუხს, ამის შემდეგ მასწავლებელი ამ განყოფილებას მისცემს ისეთს სამუშაოს, რომლის შესრულებაც მასწავლებლის დაუხმარებლად შეუძლიან და თვითონ მასწავლებელი ისევ ახლად შემოსულებთან მიდის და დაუწყებს მათ საუბარს საკლასო კუთვნილებაზედ, რომელთაც პირველად ჰხედავენ, მოითხოვს მოწაფეებისაგან თავიდგანვე სრულს პასუხს და სკოლის წესიერების დაცვას. რომ ერთნაირი საჯარჯიშოები თავმომაბეზრებელი არ იქნეს მოწაფეთათვის, პედაგოგები გვირჩევენ პირველ დღიდგანვე დააწყებინონ ბავშვებს ელემენტარული ხატვა, რომლის მასალაც—წერტილის დასმა, თანასწორი ხაზების გაყვანა, სხვადასხვა კუთხეებით, ქ�o ხაზების გაყვანა უჯრების შეშწეობით და სხ. ყველა ამას ჯერ მასწავლებელი აკეთებს საკლასო დაფაზედ და შემდეგ მოწაფეებს ააკეთებინებს კარანდაშით უჯრებიან რვეულებში. ამგვარი სახატაოის ნიმუშები ყველა პირველსაკითხაი წიგნის დასაწყისშია მოთავსებული. ამ ეარჯიშობასთან შაგირდები ანგარიშობენ კიდეც წერტილებს და გასმულ ხაზებს; ამ დროს ყმაწვილები გაიცნობენ ელემენტარულ ცნობებს,—მარცხნით, მარჯვენით, ზეით, ქვეით, პირდაპირ, მრუდეთ და საზოგადოთ გაიცნობენ ერთმანეთის დამოკიდებულებას ადგილით, სიერცით და დროით; ყველა ერთად კი ეჩვევიან არსებით საკლასო წესიერებას, რომელზედაც ერცელი საუბარი შემდეგ წერილში გვექმნება.

ლ. ბოტკვაძე

ჰედაგოგიკის ისტორიიდგან

(გაგრძელება *)

სოკრატი. ფილოსოფოსი სოკრატი სცხოვრობდა და მოქმედებდა იმ დროს, როდესაც ათინაში საშინლად დაეცა ზნეობა. ზნეობის დაცემას ხელი შეუწყეს სოფისტებმა, რომელთ მოძღვრება ასე გამოითქმება მოკლედ: „კაი და მოსაწონი მხოლოდ ის არის, რაც კაცს მიაჩნია თავისთვის კარგად და მოსაწონად» ე. ი. თანახმად მათი მოძღვრებისა ზნეობის საფუძველი არის გემოვნება კერძო ადამიანისა, მისი მადა. ასეთი მოძღვრების მეოხებით უფროს ერთი ათინელებისა ჰფიქრობდა და ზრუნავდა მხოლოდ თავისთავზედ, თავის კუჭ-მუცელზედ და საქვეყნო კი ფეხებზედ ეკიდა. გარყვნილების ზეწარ-დახურული გონება ათინელისა ჰქირდაედა უსირცხვილ სარწმუნოების, კანონის, სამართლის და სათნოების მოთხოვნილებათა, იმ მოთხოვნილებათა, ურომლოდაც არ შეიძლება კაცის ადამიანობა, ერის ერობა, ქვეყნის წინსელა, განვითარება. როდესაც ათინა ასეთს უნუგეშო მდგომარეობაში იყო, ზნეობის, და გონების მხრითაც, მაშინ გაისმა ძლევა-მოსილი მოძღვრება დიდებულის ბრძენის სოკრატისა, რომელიც გატაცებული იყო აზრით გამოეფხიზლებია თავისი თანამემამულეები, აღედგინა მათი დაცემული ზნეობა და დაეყენებია თავისი სამშობლო წარმატების მტკიცე გზაზედ.

სოკრატი დაიბადა 469 წელს ქრისტემდის. მისი დედა იყო ბებია ქალი—ბუნების მიერ სოკრატი დაჯილდოვებული იყო ცნობის-მოყვარეობით, რომლის მეოხებით შეიძინა მრავალი ცოდნა. სოკრატი ითვლება ძველს დროში უუბრძნეს კაცად და ის ღირსიც არის ასეთის სახელ-წოდებისა. სიბრძნე მან შეიძინა საკუთარის დაკვირვების, საკუთარის მსჯელობის მეოხებით. თუმცა ის იყო განათლებული კაცი,

*) იხ. «მწყემსი»-ს მე-4 №, 1893 წ.

მაგრამ მაინც თავის თავს უვიცად სთვლიდა და საიდაც მივიდოდა, გაიძახოდა: «ვიცი მხოლოდ ის, რომ არაფერი არ ვიცი». ქსენოფონტეს მოწმობისა მებრ «სოკრატი იყო კეთილ-სათნოიანი კაცი, ყოველთვის ემორჩილებოდა ღვთაების ნებას; ისეთი სამართლიანი იყო, რომ უბრალო საქმითაც კი არავის მიაყენებდა შეურაცხყოფას, ისეთი თავ-დაჭერილი, რომ არასოდეს მხოლოდ თავისთვის სასიამოვნოს (სოფისტების მსგავსად), სიკეთეზედ მაღლა არ აყენებდა; ისეთი გონიერი, რომ არასოდეს არ სცდებოდა ბოროტისაგან კეთილის გარჩევაში»!.

სოკრატმა იწყო ქადაგება კეთილ-ზნეობისა. იმას სწამდა არსებობა ერთი ღმერთისა, რომელიც მისის აზრით არის ბრძენი და თავის თავს გამოაცხადებს კაცის გონებაში და შემეცნებაში (сознаніе). იმას სწამდა უკვდავება კაცის სულისა. უმთავრესი მიზანი კაცის ცხოვრებისა, მისი აზრით არის კეთილ-სათნოება, რომლის შეძენას უნდა ჰფიქრობდეს ყოველთვის. სოკრატს ხშირად ესმოდა თავის გულში საიდუმლო ხმა, ხმა სინიდისისა, რომელიც მას უჩვენებდა, თუ რა არის კეთილი და რა არის ბოროტი. ეს საიდუმლო ხმა, სოკრატის აზრით, აქვს მოცემული ზენაარსისგან ყოველს კაცს და ის არის მხოლოდ პირუთნეველი მსაჯული მისი ყოველგვარი მოქმედებისა. კაცი ხშირად უნდა აკვირდებოდეს თავის თავს, შთაიხედავდეს თავის ბუნების შინაგანში; მან უნდა გაიგოს, იცნას თავისი თავი და მხოლოდ ასეთის თავის თავის ცნობით ანუ თვით-შემეცნებით (самопознаніе) შეუძლია დღითი დღე განვითარდეს, გაუმჯობესდეს ზნეობითა. ჭეშმარიტად ბედნიერია ის კაცი, რომელიც გრძნობს, რომ დღითი დღე წინ მიდის ზნეობითს განვითარებაში. ბევრმა არ იცის გზა, ბიმყვანელი ბედნიერებისადმი და ჭგონია ბიწიერება არის დაუშრეტელი წყარო ბედნიერებისა. მაგრამ, სოკრატის აზრით, ბიწიერება არის ნამდვილი უბედურება; უბედურია ის კაცი, ვინც ბიწიერად სცხოვრობს; იმას ან არ სურს გაიგოს თავისი დანიშნულება, იცნას თავისი თავი, ან ამისთვის ძალა არ შესწევს და ან განგებ ამ საქმეს თვალს არიდებს. ცოდნის მიზანი, სოკრატის აზრით, არის კეთილ-სათნოება. კეთილ სათნოებას უნდა ელტოდეს გონება, ნება და გული კაცისა.

სოკრატი შეუდგა თავის აზრების გავრცელებას ხალხში. ის გახდა ხალხის მასწავლებლად, მაგრამ მას არ ჰქონდა განსაკუთრებული ადგილი სწავლებისთვის. სოკრატი ასწავლიდა ყველგან, სადაც საჭიროდ რაცხდა სწავლებას და ესაუბრებოდა ყველას, ვინც გინდა ყოფილიყო. ის საუბრობდა მჭედლებთან, მეწაღლეებთან, მიწის-მუშებთან, მდიდრებთან და ღარიბებთან, განსაკუთრებით უყვარდა მოზარდი თაობის სწავლება. სოკრატს ყოველთვის სახეში ჰქონდა განვითარება, ვითარება, თვისება, მდგომარეობა და წოდება თანა-მოსაუბრისა, რომლის მიხედვით თავის სწავლა-მოძღვრებას ასე თუ ისე აგებინებდა თითოეულს მოსაუბრეს. ის არასოდეს არ გამოსთქვამდა ზოგადს კანონს, ზოგადს დასკვნას უეცრად: კერძო მოვლენითგან, კერძო მაგალითებიდგან მას მსმენელი მიჰყავდა ზოგადს კანონამდის, დასკვნამდის. მაგალითებს იღებდა გარეშემორტყმული ბუნებიდგან, რომ ამის მეოხებით მისი აზრი თანამოსაუბრესთვის თვალსაჩინო და ცხადი გამხდარიყო. მისს საუბარს ჰქონდა ინდუქტიური ხასიათი. საუბრის დაწყების წინ სოკრატი თავის თავს სთვლიდა უცოდინრად და აჩვენებდა ისე მოსაუბრეს, ვითომც თვით მას, სოკრატს, სურდა მისგან რაიმე ცოდნა შეეძინა. ის აძლევდა კითხვებს მოსაუბრესა და იღებდა მისგან პასუხსა. თუ მოსაუბრეს აზრი უსაფუძვლო აღმოჩნდებოდა, სოკრატი სცდილობდა ის თავის შეცდომაში დაერწმუნებია და უჩვენებდა მას ჭეშმარიტს აზრსა. სოკრატის აზრით კაცის ბუნებას თანშობილი აქვს ნიჭნი და ცოდნანი, რომელნიც ჩამალულნი არიან ბუნების სილრმეში; საჭიროა ამ ნიჭთა და ცოდნათა ადმოჩენა, გამოქვეყნება გონიერი კითხვების მეოხებით. აი ამიტომ ამბობდა სოკრატი: «მე ვშველი კაცს აზრების შობაში ისე, როგორც დედა ჩემი შველოდა მშობიარე დედებს ბავშვთა დაბადების დროსა!»

სოკრატმა ბავშვთა სწავლების საქმეს შეიძინა კითხვა-მიგებითი ფორმა სწავლებისა (вопросо-отвѣтная или эвристическая форма обученія); ამ ფორმას ჰქვია სოკრატისებური ფორმა სწავლებისა. ეს ფორმა დიდხანს იხმარებოდა და ახლაც იხმარება სწავლების დროს. სოკრატის აზრით, მასწავლებელმა უნდა იცოდეს რიგიანი გონიერი სწავლება, რომელსაც შეუძლია აღძრას ბავშვის გულში თვით მოქმედება. მასწავლებელმა უნდა განავითაროს ბავშვის გულში თვით-შემეცნება, თვით-შეგნება, რომლის მქონებელი კაცი ეცდება იყოს ნამდვილი ადამიანი. შაგირდი უნდა იყოს თავ-დაჭერილი, მუყაითი სწავლა-ცოდნის შეძენაში. მას უნდა სწყუროდეს მუდამ წინ-სვლა, განვითარება. სოკრატი უმთავრესს ყურადღებას აქცევდა ზნეობითს განვითარებას, სულ ს განათლებას და აღზრდას, თუმცა სრულიად უყურადღებოდ არ ჰქონდა დატოვებული სხეულის აღზრდაც. „კაცი, რომელიც თავის სხეულის განვითარებაზედ არ სცდილობს—ამბობს სოკრატი—შეიძლება ადვილად მიეცეს ნაღველ-დარდებსა და კიდეც გაგიჟდეს»—ე. ი. ჩვენის დროის ენით რო ესთქვათ, ის კაცი, რომლის ფიზიკურს აღზრდას ყურადღებას არ აქცევდნენ, გამოვა «ნერვებით სნეული», სულით ავად-მყოფი. მაგრამ სოკრატი გიმნასტიკაზედ მაღლა აყენებდა მუსიკას და თვითონაც დაიწყო მისი შესწავლა სიბერის ჟამს. მათემატიკას და ბუნების შესახებს საგნებს სოკრატი იმდენად აფასებდა, რამდენადაც მათი შესწავლა სასარგებლო იქნებოდა პრაქტიკულს ცხოვრებაში. «ბუნების შესწავლა – ამბობს სოკრატი—კაცს დააშორებს ღვთისაგან».

მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია არ უარვჰყოთ ასეთი აზრი სოკრატისა შესახებ ბუნების შესწავლისა. ბუნების შესწავლას საუკეთესო პედაგოგების (ამოს კომენსკის, პესტალოცცის) აზრით აქვს დიდი აღმზრდელი მნიშვნელობა და ასეთი შესწავლა არა თუ არ დააშორებს კაცს ღვთაებისაგან, არამედ მიუახლოებს მას. თვით მოციქული პაველე მოწმობს, რომ წარმართებმა ღმერთი იცნეს ბუნების განხილვის მეოხებით, (რომაელთა მიმართ ეპისტოლე ა, კ). შესწავლა გარეშემორტყმული ბუნებისა, შეგნება მის სხვა-და-სხვა მოვლენათა, ძალთა და გათვალისწინება იმ ღონის-ძიებათა, რომელთ მეოხებით კაცი, ღვთის მიერ დიდებითა და პატივითა გვირგვინოსან ყოფილი და დედა-მიწის მეფედ დადგენილი დაიმორჩილებს თავის სასარგებლოდ და ღვთაების სასელის სადიდებლად ამ მოვლენათა და ამ ძალთა, სრულიადაც არ კნინაღმდეგება სადმრთო სჯულსა, როგორ ეგონა სოკრატსა.

სოკრატმა შეძინა ბავშვთა აღზრდა-სწავლების საქმეს ორი ფრიად სასარგებლო საგანი: ა) კითხვა-მიგებითი ფორმა სწავლებისა და ბ) უჩვენა აუცილებელი საჭიროება «თვით-შემეცნებისა». სოკრატი სიკვდილის დრომდის ერდგული იყო თავის სწავლა-მოძღვრებისა. იმას ბევრი მტერი ჰყავდა, რომელნიც შურის თვალით უცქეროდნენ მისი სახელის სიდიადეს. მტრებმა ხმა გაავრცელეს, ვითომც სოკრატი იყო უღვთო და გამრყვნელი ახალთაობისა. სოკრატი სასამართლოში მიწვეულ იქმნა. აქ იმან ნაცვლად თავის-მართლებისა მსაჯულებს უქადაგა ყოფილიყვნენ ყოველს დროს და ყოველს საქმეში მართლ-მსაჯულნი. სოკრატს მსაჯულებმა სიკვდილით დასჯა გადუწყვიტეს; მხოლოდ ნება მისცეს 30-ის დღის განმავლობაში ესაუბრა თავის მოწაფეებთან, რომელნიც ყოველ დღე მოდიოდნენ საპყრობილეში თავისი ბრძენი მასწავლებლისგან ბრძნული სწავლის მოსასმენად. ოცდა-ათის დღის შემდგომ სოკრატმა მიიღო თასით საწამლავი და გარდაიცვალა 399 წ. ქრისტემდის მშვიდად და წყნარად.

იღ. ფერაძე.

ნიკოლოზ მელიტონის-ძე ბარათაშვილი.

„1860 წ. ქ. «ცარსკი სელოშიდ», გვწერს თ. ს. ი. აბაშიძე, ცხოვრობდა მყოფი ჩემი პოლკის კომანდირი თ. პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი *).— ერთს საღამოს საღილს შემდეგ, გვქონდა ლაპარაკი შესახებ ქართული ლიტერატურისა და სხვათა შორის, აი რა მიამბო: მე, ლევან მელიქისშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი, ერთად ვსწავლობდით მაშინდელს გიმნაზიაში და სამივე ერთს დღეს სასწავლებლიდგან გამოგვრიცხეს შემდეგი საქმისათვისო. ჩვენს დროს დიდად დრტვინავდა საზოგადოება ეაჭრებზედ, როგორც სიძვირისათვის ეგრეთვე ზომაში მოტყუებისათვის. ჩვენ როგორც ყმაწვილმა პატრიოტებმა განვიზრახეთ, რომ ასეთნაირად ეაჭრების მოქმედება გვეუგებია და გვსურდა იმათი გასწორება; ამისათვის ნ. ბარათაშვილი ლექსებს წერდა, ლ. მელიქიშვილი გადამწერი იყო და მე კი კონვერტებს ვამზადებდიო. —ამნაირად შემზადებულს ლექსებს ეგზავნიდით მთავარ-მართებლის და დიდკაცობის და ზოგიერთს ეაჭრების სახელზედ; ჩუმად ვსდებდით პოჩტალიონის ბოლჩაში, როცა მოდიოდა ჩვენთან. ერთს ხანს ვერა გაიგეს რა და მერმედ დაგვიკვირდენ და პოჩტალიონმა არ გაგვარონია თავის მახლობლად, როცა მოდიოდაო. მერმედ ჩვენ განვიზრახეთ კონვერტებშიდ ერთად ლექსებთან პატარა ქვების ჩაწყობა და ესროლილობდით იმის ეზოშიდ ქუჩებიდგან, ვის სახელზედაც კონვერტი იყოვო; მაგრამ ესეც ძრიელ საძნელოდ დაგვირჩა და ვამჯობინეთ დაბეჭდილი კონვერტები ფოჩტაში მიგვეტანა, სადიდგანაც მისდიოდათ ვისაც ეგზავნებოდა. ბოლოს აქაც დაგვიკირდენ თურმე და მერმედ ბეჭდით იცენეს და ჩვენი გაგზავნილი დაჭირეს, შესდგა ამაზედ დიდი საქმე და ჩვენ სამნიენი მეთაურები: მე, ლ. მელიქიშვილი და ნ. ბარ ა თაშვილი, გამოგვრიცხეს და რომ მთავარ-მართებელს ბარონ როზენს არ ვეპატიებინა, გარეზგვასაც მიპირებდენ. შემდეგ ამისა მე პეტერბურღშიდ გვარდიის პოდპრაპორჩიკების სასწავლებელშიდ გამომგზავნეს და ისინი კი თავიანთ სახლში წაიყვანესო».

თ. სამსონ ივანეს ძე აბაშიძე.

*) გამოჩენილი 1812 წ. დიდი პეტრე ბაგრატიონის ძის წული.

წერილი რედაქტორთან.

მ. რედაქტორო!

მე არავითარი კავშირი არა მქონია დეკანოზ კალისტოვთან და არც შემთხვევა მქონია ოდესმე და სადმე მასთან მემგზავროს საარქიოლოგო მიზნით, გინა სხვა რომელიმე მიზეზით. ამისგამო სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ მას, მამა კალისტოვს, არ შეეძლო, თუ არ ცილისწამებით, ჩემი სახელი მოეხსენებინოს იმ «თავ-მოწონებით დაწერილს» მისს ერცელს საარქეოლოგო «ექსკურსიის» ანუ მგზაერობის წერილში, რომელიც თქვენ, როგორც ბრძანებთ თქვენს ჟურნალ «მწყემსში», მისგან მოგსელიათ 1890 წელს. ისიც სიმართლეს მოკლებულია, ვითომ მე, ერთად იმავე კალისტოვთან ანუ სხვა პირებთან არქიოლოგიური ნივთები აღმომეჩინოს დავით-გარეჯის ანუ იოანე ნათლისმცემლის მონასტერში. ეს ცხადია იქიდამ, რომ სიყრმიდამ აქამომდე, ჩემდა საბუნაროდ, ღირსი ვერ გამხდარვარ ამ უდაბნოების ხილვისა და მაშასადამე ვერც კალისტოვი და ვერცა აწ განსვენებული არქიმანდრიტი მაკარი ვერ მოგწერდათ თქვენ, რომ ვითომ მე მოხსენებულს უდაბნოებში არქეოლოგიური ნივთები აღმომეჩინოს.

თუ თქვენი განცხადება იმაზე, ვითომ მე ოდესმე და სადმე მამა კალისტოვთან ერთად მემგზაეროს და არქეოლოგიური ნივთები აღმოგვეჩინოს, სიმართლეს მოკლებული არ არის, გთხოვთ თქვენის ჟურნალის

უახლოვესს №-ში დაჰბეჭდოთ შეუცვლელად დეკანოზ კალისტოვის და არქ. მაკარის წერილები, რომელნიც თქვენ მიგიღიათ. ამით ლონისძიებას მომცემთ ჩემს ცილისმწამებელთ კანონიერად მოვეჭიცე.

გარდა ამისა გთხოვთ თქვენს ჟურნალში გამოაცხადოთ, მე გყავდით სახეში თუ სხვა ვინმე, როდესაც იმავე წერილში თქვენ მოიხსენიეთ ვიღაც მატყუარა «ოსტატნი არქეოლოგნი» და ისტორიკოსნი, რომელნიც თავ-მომწონეობით გაიძახიან: აქა თუ იქა ეს ანუ ისი აღმოვაჩინეთო და სხ. და სხ. დიდად მეჩოთირება მკვეხარობა და დიალ რომ საძაგელია ტრაბახა კაცი და ამისგამო გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენს ჟურნალში, რომ თქვენ მე არ გყავდით სახეში, როდესაც მაგას ბრძანებდით, ხოლო თუ თქვენ ეს ბრალი მე დამდეთ, იმედი მაქვს პატივსამცემთ და დამისახელებთ, თუ რომელი საბუთები გქონდათ მაგ ბრალდებულობისათვის, რომლითაც მე დიდი შეურაცხ-ყოფა მომაყენეთ.

ამასთან პატივი მაქვს თქვენს კითხვაზე გიპასუხოთ, რომ ჩემს საფელეტონო წერილებში აღმოსავლეთის და «ივერი»-ს ქართველთ მონასტრებზე მე არსად მითქვამს, ეითომ ამ 20—25 წელს უწინ ივერიის მონასტერში ქართველი არქიმანდრიტი იყოთ; ხოლო ის კი ცხადია, რომ ეს დიდებული ლავრა დიალ რომ ქართველთა სამკვიდროა და ჩვენის დაუდევრობით დაკარგულია ჩვენს დროშიეე. არა ვგონებ, რომ თქვენ, «მწყემსი»-ს რედაქტორს, ეს საგანი საეჭვოდ და საძიებოდ მიგაჩნდეთ.

თფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი
თეოდორე ჯორდანია.

1893 წ. თებერ. 22.
თფილისი.

პასუხი ბ. თ. ჯორდანიას.

გასაკვირველია, რომ ბ. თ. ჯორდანია უარსა ჰყოფს ნ. კალისტოვთან კავშირს და ნაცნობობას. თითქმის ყველამ იცის, რომ ბ. ჯორდანია დიდი მეგობარი იყო ნ. კალისტოვისა და იმასთან ერთად მსახურებდა თბილისის სიონის ტაძართან დაარსებულ ძველ ნაშთა მუზეუმში და დიდი გასაკვირი არ არის, რომ მ. კალისტოვმა თავმოწონებით მოგვწერა ჩვენ, რომ მე ბ. ჯორდანიასთან ერთად იოანნე ნათლის-მცემლის მონასტერში და მცხეთაში ძველი შეანიშნავი ნაშთები აღმოვაჩინეთ. მ. ნ. კალისტოვმა აიღო და ოსტატურად გადაწერა არხეოლოგიური საზოგადოების მინდობილობით აწ უკვე განსვენებული დიმიტრი ბაქრაძისაგან შედგენილი წიგნი „Кавказъ въ древнихъ памятникахъ Христіанства» და ამ ოსტატური გადანაწერებით გააკვირვა პეტერბურგის ზოგიერთი ჟურნალ-გაზეთები. ამ ჟურნალ-გაზეთებმა სიხარულით მიიღეს ეს ნაწერები, ადგილი დაუთმეს თავიანთ გამოცემაში და მასთან ავტორს კარგი ფასიც დაუნიშნეს. ამ ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებს ეგონათ, რომ ეს ცნობები ჯერეთ არსად არ იყო დაბეჭდილი და გამოქვეყნებული და ამიტომ დიდი ქებითი წერილებს უგზავნიდნენ მ. ნ. კალისტოვს. ძლიერ ადვილად შეიძლება, რომ ასე ნაირად მოგვატყუა ჩვენც ნ. კალისტოვმა. ჩვენ დაბეჭდილი ნ. კალისტოვის წერილს, მაგრამ თვითონ ავტორების ნება-დაურთველად მათი წერილების გამოქვეყნება აღკრძალულია.

ბ. თ. ჯორდანია გვთხოვს დაბეჭდოთ აწ უკვე განსვენებული არქიმანდრიტის მაკარის წერილი დასამტკიცებლად იმისა, რომ ის კალისტოვთან ერთად იოანნე ნათლისმცემლის უდაბნოში არ ყოფილა რაიმე ძველ ნაშთთა აღმოსაჩენად. ბ. თ. ჯორდანიას ამ გვარი მოთხოვნილება ჩვენ გვაკვირვებს. არც ჩვენ გვითქვამს და არც განსვენებულ არქიმანდრიტს მაკარის მოუწერია, რომ ბ. თ. ჯორდანია ნ. კალისტოვთან ერთად ყოფილიყოს ხაენებულს მონასტერში და რა საჭიროა ამის შემდეგ გამართლება?! აწ უკვე განსვენებულს არქიმანდრიტს მაკარის გული მოსდიოდა იმ მატყუარა არქეოლოგებზე და ისტორიკოსებზე, რომელნიც მონასტრებში დაცულ ნაშთებს თავის ხმრით აღმონაჩენად აცხადებენო და ვინ ჰყავდა მას სახეში, ჩვენ არ ვიცით.

ამას წინეთ ჩვენ თვალი გადავავლეთ გაზეთ «კავკაზში» დაბეჭდილ ერთ სტატიას, რომელშიაც აღწერილი იყო ახირებული მეტიჩრობა ერთი კაცისა, რომელიც თავის თავს დიდ არქეოლოგად რაცხდა. ეს პირი, როგორც ამ სტატიიდგან სჩანდა, დიდ საყვედურს უცხადებდა წინანდელს არქეოლოგებს, რომ მათ გამოუკელეველად დაუტოვებიათ ისტორიულის მხრით შესანიშნავი ნაშთები ერთი ეკლესიისა და ამ ნაკლს თავისი ახალი გამოკვლევით ავსებდა.

ამ ახალი გამოკვლევის შესახებ ერთი ეიღაცა მწერალი (გვარი ალარ გვახსოვს) უმტკიცებდა ამ ახლად გამოჩენილ არქეოლოგს, რომ მისი აღწერილობა და ახალი გამოკვლევა მოპარული იყო ძველი დროის ერთი არა-არქეოლოგის ნაწერებისაგან. მოგვყავს «კავკაზი»-დგან ამ სტატიის ერთი ადგილი:

Для отученія, по крайней мѣрѣ, въ будущемъ автора столь славныхъ открытій и для направленія его на путь критическаго отношенія къ своимъ занятіямъ, я тутъ-же привожу параллельно мѣста изъ сообщеній: а) „не археолога“ и б) „археолога“ (?)

Не археологъ:	*Археологъ:*
Тцвимоэтская церковь находится на возвышеніи, у входа въ Тцвимоэти, въ циціановскомъ лѣсу. Это монастырь св. Іоанна Крестителя, построенный изъ тесаннаго камня, безъ купола. Онъ обращенъ въ развалины, но сохранилъ надписи. (Затѣмъ слѣдуютъ надписи: «смотри Voyage» 99—101, «Кавказъ въ древн. памят. христіанства,“ стр. 148).	Отъ Михайлова въ 5-ти верстахъ за Курою, сел. Тцвимоэти, на лѣсной горѣ, о т к р ы т а (?) каменная церковь средней величины, съ замѣчательными надписями (слѣдуютъ надписи: смотри «Иверія» № 184). Тоже «Нов. Обоз.»: верстахъ въ восьми отъ Сурама, около Тцвимоэти, на горѣ, покрытой лѣсомъ, г. Жор... наткнулся (!) на церковь средней величины, еще никѣмъ изъ археологовъ не описанную (№ 2197)

Надпись.	*Надпись.*
Во имя Бога, я, убогая Анна' начала строить эту святую церковь въ убѣжищѣ св. Іоанна Крестителя для моленія. Богъ да прославитъ могущественнаго Баграта, Куропалата и царя абхазовъ и картловъ и сына его Георгія, царя нашего, во спасеніе грѣшной души моей и во спасеніе души родителей моихъ. Годъ короникона 222(1002). (См. тамъ-же)	Во имя Бога, я, убогая Анна, начала строить эту святую... и т. д. до конца (см. „Иверія“ № 184 и „Нов. Обоз.“ № 2297).

ჩვენ როდესაც ვამბობდით ეიღაცა მატუარა და ოსტატ არქეოლოგებზე და ისტორიკოსებზე, სახეში გვყავდა აი ის მატუარა და ოსტატი არქეოლოგი, რომელიც ამ ნაირად სხვისი ნაწერებით იქებდა თავს გაზეთებში, და უწინდელ მოღვაწე და ნამდვილ არქეოლოგებს კი აუგებდა. ამისა და ამის მსგავსი ახალმოდის არქეოლოგიური გამოკვლევის მწერლებმა გვათქმევინეს ის სიტყვები, რაზედაც ბ. ჟორდანია გვეკითხება. ვინ უნდა იყოს ამ ორ არქეოლოგში მატყუარა, ამის გამოცნობა და გამოცხადება ბ. თ. ჟორდანიასათვის მიგვინდია.

ბ. თ. ჟორდანია აი რასა სწერდა გაზეთ «ივერიის» მე-14 №-ში: **დიდებული ივერიის მონასტერიც ამ 20—25 წლის წინად ხელიდამ გამოგვტაცეს, მაგრამ კინ არის პატრონი და ხმის ამომღები.** ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ, ვგონებთ, ჩვენ უფლება გვქონდა, გვეკითხა ბ. თ. ჟურდანიასთვის, თუ სახელდობ ვინ განაგებდა ჩვენის მხრით ამ დიდებულ ივერიის მონასტერს ამ ოცი წლის წინად. ყველა დამეთანხმება, რომ თუ ეს მონასტერი ჩვენა ხელით იყო, ან ჩვენი კაცი და ან ჩვენგან დანიშნული ვინმე უნდა ყოფილიყო მის გამგედ. სწორეთ ამას ვკითხულობდით ჩვენ და დღესაც ამასვე ვკითხულობთ, რადგან ბ. თ. ჟორდანია პასუხის ნაცვლად ამბობს: «ჩვენ არსად არ გვითქვამს, რომ ოცი წლის წინად ქართველი არქიმანდრიტი იჯდა ივერიის მონასტერშიო». თუ ჩვენ ხელთ იყო მონასტერი. მისი გამგეც ალბად ჩვენი უნდა ყოფილიყო, თორემ ვინ უნდა გავაკვირვოთ, რომ ოდესმე იერუსალიმის და სინას მთის მრავალი მონასტრები ჩვენი საკუთრება ყოფილა? რომ იერუსალიმის და სინას მთის მრავალი მონასტრები ოდესმე ჩვენი იყო, ეს ვგონებთ, უკანასკნელმა მუშამაც კი უწყის და ნუ თუ ამის. თანა საგნებზე წერა ახალ ისტორიულ გამოკვლევად უნდა ჩაითვალოს?

ფუფუნება.

(გაგრძელება *)

ადამიანს აქვს ორგვარი ცხოვრება, და მაშასადამე, ორგვარი მოთხოვნილება: ცხოვრება ფიზიკუ-

*) იხ. «მწყემსი» № 4, 1893 წ.

რი,—აქეთგან სხეულებრივი მოთხოვნილებანი; ცხოვრება სულიერი და მისნი თანამყოლი მოთხოვნილებანი—ინტელექტურნი, გონებითნი. რაც კაცი მხოლოდ მგრძნობელობით ცხოვრობს და თან სიმდიდრე ან ძლიერება შესწევს და მისგამო შეუძლია ათასის ნაამაგდარს პატრონობდეს, იგი, რასაკვირველია, არ შედგება, დაიკმაყოფილოს ყოველი თავისი ხუშტური, რაიც აღიწევა ხოლმე დამთხვეულებამდე სიამოვნეთა უმაძღარის აყოლით. პირიქით, ვინც გონებითის ცხოვრებით ცოცხლობს, იმას ნივთიერნი მოთხოვნილებანი თითქმის არ აქვს და ხშირად ზოგს არსებითს მათგანსაც არ იკმაყოფილებს. ავიღოთ ერთა კერძ გელიოგაბალი და ტრიმალკიონი, ეს საიმპერატორო რომის მგრძნობელობა—ფუფუნეულობის ტიპები, და მეორეს მხრით—იოანე ნათლისმცემელი, რომელიც თაფლით და მკალით საზრდოობდა, ანუ პაველ მოციქული, ბადის ქსოვით რომ თავს ირჩენდა; ანუ კიდევ ახლახელე დროის ფილოსოფოსი სპინოზა, საათის მინების გაელვარებით რომ ლუკმაპურს შოობდა. დიდებულმა ხელოვანმა მიქელ ანჯელომ უთხრა თავისს მეგობარს კონდოვეს: მე, თუმცა მდიდარი ვიყავი, მაგრამ მუდამ ღარიბულად ვცხოვრობდიო.—მართალიაო, მიუგო კონდოვემ, იმიტომ რომ ყოველთვის უხვად გასცემდიო. რაში მდგომარეობს უმაღლესი ზნეობითი განვითარება?—განათლება, კულტურა ერთს თავისს განსაზღრულ ხარისხამდე ბადებს და ამრავლებს მოთხოვნილებათა, მაგრ მ რაკი იმ ხარისხს ასცილდება ზევით, შემდეგ თანდათან ამცირებს მათ რაც გონივრულ მოთხოვნილებათა აკმაყოფილებს, ის კანონიერია და კარგი. რატომ არა, უნდა შეიმაგრო სხეულის ძალები, სიმრთელე, რის უმისოთ გონებითი მუშაობაც ძნელდება და ბოლოს შეუძლებელი ხდება. მაგრამ ის, რაც აკმაყოფილებს ცრუ მოთხოვნილებათა, უზნეური და ცუდია, იმიტომ რომ იგი პარავს სასარგებლოთ მოსახმარის დროების ნაწილს როგორც თავისს თავს, აგრეთვე სხვებს. ისეთი დიდებული გადამქმნელები, როგორნიც იყვენ მოსე წინასწარმეტყველი, სოკრატი, ბუდა და სხვანი, ძალიან ცოტას ჯერდებოდნენ. განცხრომილებასა და ფუფუნებაში როდი იგზნება კაცობრიობის გამწმედელი ალი. თითქმის შეიძლება დავასკვნათ, რომ ზნეობითი სიდიადე პირდაპირ კი არა, უკუმოქცევ ეთანაზომება მოთხოვნილებათა.

შეცთომილება მდგომარეობს იმაში კი არა, რომ მრეწველობა მიაჩნიათ კარგ და სასარგებლო რამედ, არამედ იმაში, რომ ერთობ აზვიადებენ მნიშვნელობას ზოგიერთ შემუშავება-გაუმჯობესობათა. ამ გვარობაში, რაკი ერთხელ კმაყოფილებას მიღწევიხარ, შემდეგი ჩაციებ-ჩაკირკიტება აღარაფრათ ღირს. აი რატომ: თუ ადამიანის ცხოვრების მიზანი არის ბედნიერება, მაშინ ძველს დროს, რომელმაც არ იცოდა ეს ამისთანა გაწმინდაკებული სინამეტნავე, ეს ძირფესოში ჩაყოლა, იგი სრულიად განუხორციელებია, და თუ, როგორც სამართლიანათ ფიქრობენ ბრძენნი, ერთად ერთი უსაჭიროესი საგანი არის სიდიადე ზნეობითი და გონებითი, მაშ ყველა ეს მისართავები ნაკლებათ ხელს უწყობენ მას. ისტორია გვიჩვენებს, რომ შკენიერი გონებითი განვითარება და ბედნიერობის ოქროვანი საუკუნოები აღმოკენდენ ფრიად ტლანქს ნივთიერი მდგომარეობის შუაგულში. ბრამანების ერმა ინდოეთში მოიხვეჭა ისეთის ფილოსოფიური სისტემის ზემხედველობა, რომ დღეს მხოლოდ გერმანია თუ დაიკვეხნის მის წინ და იმავე დროს გარეგნულის განათლებით ინდოეთი განუვითარებელთ საზოგადოებათა ხარისხზე იდგა. სახარების უფბარს სანატრესს (იდიალს), სადაც ზნეობითი გრძნობა გადაშლილია ისეთის საოცარი გამჭრიახობით, გადაეყვანართ ჩვენ სოფლურის ცხოვრების სადა მიდამოში,—იქ, საცა გარეგნობის რთულობას და გადამჭიმულობას არ აქვს ადგილი... წინსვლა ხელოვნებათა სრულიადაც არ სდევს მხარდამხარ იმ წინსვლას, რომელსაც იჩენს ერი მორთულ-მოწყობილობის გემოვნებით. პირიქით, შეიძლება გადუჭარბებლათ აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ იმ დროს და იმ ქვეყანას, როცა და სადაც ამ მოწყობ-მომარჯულობაზე ძალიან გადაყოლილი იყო ხალხი, ყველაზედ უფრო ნაკლები ნიჭიერობა გამოუჩენიათ ხელოვანებაში.

განვიხილოთ ახლა სხვა წესი იდიებისა. ისეთი სწავლულებიც კი, რომელნიც თავისს თხზულებებში

მუდამ წადილთა ზომიერებას ქადაგებენ, აი როგორის, თითქოს შეურყეველის, საბუთებით ამართლებენ ფუფუნებას: «შეუძლებელია, ამბობენ ეს ეაქ-ბატონები, საკმარისათ გადაწყდეს საკითხი მანქანაებზე, გარეგნულ მოქიშპეობაზე, ფუფუნებაზე, თუ ჩვენ ისე შეეხედავთო მოთხოვნილებას, როგორც უკვლელს რასმე რაოდენობას და არ ვავარაუდებთ მის დიდს განფართოებას, განვითარებას». გამოდის, რომ საეკონომიო საკითხთა გადასაწყვეტათ, ამ სწავლულთა აზრით, უნდა ადამიანს გაამრავლებია და გაუმწვავო მოთხოვნილებანი. ამით ხომ საპოლიტიკო იკონომია სრულიად აქარწყლებს ზნეობის მოძღვრებას, როგორც ანტიკურს, ისე ქრისტიანულს. ამით ხომ ზნეთ-მოძღვრება აღარ ეთანხმება არც მეცნიერებას, რომელიც ამნაირათ ხდება კვერის დამკვრელად ნებიერობისა, ფუფუნების, სიბარიტობის, გარყვნილობის.

აი როგორ ამართლებენ სიბარიტობას ეს ზოგიერთი ეკონომისტები: „ჩვენ ხომ იმას ვერ დავჯერდებითო, ამბობენ ისინი, რასაც ჯერდებოდაო პირველყოფილი ადამიანი?". ეს პასუხია! აი როგორ მისულან ზოგიერთი ეკონომისტები ამისთანა დიდაცურ დასკვნამდე; მანქანა ამოკლებს შრომას, მაშასადამე, რაც უფრო გახშირდება და გაუკეთესდება მანქანები, მით უფრო ნაკლები დრო მოგვანდება ერთის და მისვე ნარეწის გამოსაყენათ. შრომის საათების შემცირება ნიშნავს მუშა ხელის მოთხოვნის შემცირებას და მრავალთ მუშათა უსამუშევროთ დაგდებას. ამიტომაც მათთვის საქმის გასაჩენათ, როცა ნამდვილი მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულ იქნებიან ნაკლების ჯაფის მოხმარებით, მერე საჭიროა არის შეექმნათ ახალ-ახალი მოთხოვნილებანი. ამით საქმეში მოიხმარება შრომის საათები, რომელნიც უქმათ რჩებიან სამექანიკო იარაღებს და ტეხნიკურის პროცესების მეოხებით. ამ გზით დაუბოლოებელი «მოთხოვნილებათა განფართოება» მიუკილებელია, იმიტომ რომ მეცნიერების და მექანიკის დაუსრულებელმა წინსვლამ არ დაგდოს უსაქმოდ და, მაშასადამე, უსარჩოოთ დღითი-დღე მატებადი მუშების რიცხვი. და მართლაც, აი რა სურათს წარმოგვიდგენს ჩვენ საეკონომიო განვითარება. რა ერთიც უფრო ადვილდებოდა ცხოვრების მიუკილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, იმდენათ უფრო ჩნდებოდა ხელოვნური მოთხოვნილებანი. ეს უკანასკნელნი გამოიწვევდენ ხოლმე წარმოებას აუარებელ სასალუქო და ძვირფასის მიქარვების და ზიზილ-პიპილებისას, რითაც ივსებოდა და ფერადდებოდა მაღაზიები და რომელთაც თანდათან მუშტრები უმრავლდებოდენ. მაშასადამე, თუ ჩვენ არ გვინდა მოვსპოთ მანქანები, ან უნდა ნებიერობას, სიბარიტობას მივყოთ ხელი, ან უნდა როგორმე თავითგან მოვიშოროთ მომეტებული მუშების რიცხვი. ამ რიგათ პირდაპირი საპოლიტიკო ეკონომია ეწინააღმდეგება აღსაარებულ ზნეთმოძღვრებას, საუკუნოებით გადმოცემულს და გამომუშავებულს.

რათგან დაუჯერებელია, რომ ძველნი ზნეთმოძღვარნი და ეკლესიის მამანი მართალნი არ ყოფილიყონ, როცა გვამცნეედენ გულისთქმათა აღვირასხმას, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მანქანათა საკითხი სხვაფრივ გადასაწყვეტია, ვინემ ზემოთქმული გადაწყვეტაა. აი როგორ:

მანქანა, რაკი იგი უფრო სწრაფათ აწარმოებს, ამით უფრო ხელს გვიწყობს ჩვენ და დროს გვიზოგავს. როცა ჩვენი გონიერულნი საჭიროებანი დაგვიკმაყოფილდება, მანქანა ხელოვნურათ შექმნილ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელი ნივთების საწარმოოთ კი არ უნდა ვიხმაროთ, არამედ იმაზე, რომ მოგვეკეს ჩვენ მოცალეობა ჩვენის გონების გასანათლებლათ, საამურათ დროს გასატარებლათ კაცთა საზოგადოებაში, ბუნების და ხელოვნების სიშვენიერით დატკბობაში. აქ უნდა შევადაროთ კაცობრიობა მარტოდ კუნძულზედ მყოფ რობინზონ კრუზეს. პირველდაპირველ რობინზონი იძულებულია იმუშაოს დილით საღამომდე მხოლოდ არსებობის გულისთვის. მაგრამ შემდეგ და შემდეგ, სხვა-და-სხვა იარაღების მოპოებით და გამოკეთებით, იგი შობა დღეში ექვსის საათის გარჯით ყოველსავე, რასაც თხოულობს მისნი გონიერული საჭიროებანი. განა იგი მერე კიდევ ექვს თავისუფალ საათს იმუშავებს იმისთვის, რომ მოიმზადოს სტავრა, ხაერდი და მაქმანი? არა; რაც უფრო იგი განათლებული და განვითარებული იქნება, მით უფრო ნაკლებ იზრუნებს ამისთანა მიქარვებზე. იგი მოიზდომებს, ისიამოვნოს უზენაესის არსების, თავისის თავის და ბუნების განმსჭვრეტელობით.

მანქანას უწოდეს კაცობრიობის განმათავისუფლებელი. მაგრამ ეს დასაჯერებელი არ არი, თუ მართლა მან კიდევ უფრო უნდა შეგვატოპინოს ნივ-

თეულებაში და აღძრას ჩვენი გრძნობიაროობა. მართალი მაშინ იქმნება, თუ მანქანა გაათავისუფლებს კაცობრიობას სასტიკ შრომის მომეტებულ ნაწილისგან, რითაც იგი თავისის არსებობის ჭირ-ვარამს მიუძღვის. ძალიან საეჭვოა, რომ ყველა ჩვენს მანქანებს შეემცირებინოს თუნდ ერთის საათით შრომა გინდ ერთად ერთის ადამიანისთვის. პირიქით, ჩვენს დრო-ჟამში უფრო ბევრს შრომობენ და იქანცებიან, ვინემ წინათ. უწინდელ დროებში ღამეს მოქონდა კაცობრიობისთვის ძილი და განსვენება, დღეს კი სხვილის მრეწველობის საწარმოოთ ადამიანები მთელ ღამეობით მუშაობენ მაღაროებში, საშაქრე ქარხნებში, გემ-ხომალდებზე, ტელეგრაფებზე და სად-და-სად. ცხოვრება დაწინაურებულ ქვეყნებში უფრო სიმჭირსნეში ჩადგა და ძარღვის ძალა დღეს გაცილებით მეტი იხარჯება. ჩვენ ყველანი, ზევითგან მოკიდებული საზოგადოებითის კიბის ძირა საფეხურამდე, მინისტრითგან დაწყებული, რომელსაც ამრავი საქმე თავს აწვეს, მაღაროში მოჯაფე მადნის მთხრელამდე, გამხდარვართ მონებად უზარმაზარის საზოგადოებითის მექანიზმისა, რომლის მოძრაობა თანდათან სისწრაფეში შედის. არა, მანქანა ასე ვერ გაათავისუფლებს კაცობრიობაე. მანქანამ უნდა, თანდათან შემცირებულის ძალის ხარჯობით გონიერულთ მოთხოვნილებათა დასაკმარებლად, მისცეს კაცობრიობას დიდი მოცალება და, მაშასადამე, უდიდესი გონებრივი განვითარება, ინტელექტური კულტურა.

შეიძლება გვეკიკინონ: «რა არის ეს «მოთხოვნილებანი», რომელიც თქვენ ასე ამოგიჭინიათო? ვის შეუძლია ამას საზღვარი დაუდოსო? ის ხომ არ გინდათ, რომ წაბლით და რკოებით გვასაზრდოოთ და ნადირთ ტყავით შეგვმოსოთო?» — გონიერული მოთხოვნილებანი იმას ქვია, რომელთაც ამოარჩევს ავ-კარგის გამრჩევი გონება და მოიწონებს გიგიენა. უკანასკნელს შეუძლია დანამდვილებით გვითხრას, თუ, როგორი უნდა იყოს ამა თუ იმა ჰაეის და წლის დროს შესაფერი საჭმელ-სასმელი, ტანთსაცმელი და ბინა — სადგომი თავისის მოწყობილობით. ამას დაურთეთ ის არა ძვირფასი მოსართავ-მომარჯულობა, რაც მრეწველობის წინსელას გაუხდია ხელმისაწვდომათ თვითეულის კაცისთვის. ამ მხრით რომ გავსინჯოთ, «ფუფუნება არის ხმარება ძვირფასის და იშვიათის ნივთებისა». რაც უფრო ძვირფასია საგანი, მით უფრო დიდი შრომა და დრო უნდება. რაკი ამისთანა საგანი ცოტა მოთხოვნილობის დამაკმაყოფილებელია, განა ფუჭი არაა მისი მოპოვება?

ზოგიერთი ეკონომისტი ფუფუნებას ხედავს ნამეტნაობაში. მაგრამ ის უფრო ნამდვილი იქნება, თუ ფუფუნებას დავინახავთ ყოველ სიძვირეში, მაგალითით გავსაჯოთ: იაპონური მარაო ღირს ორ-სამ კაპეიკად, იქაურიეე სარკე ორ-სამ აბაზად. ეს ნივთები ძალიან მცირე შრომას თხოულობენ გასაკეთებლათ; მათგან მოღებული კმაყოფილება კი ღირს ამ მცირე მსხვერპლად. როცა მიწათმოქმედი სვამს თავის შინაური ღვინოს, რომელიც მას შეეძლო ორ-სამ შაურად ბოთლი გაეყიდა, ეს, ცხადია, ფუფუნებად არ ჩაითვლება. როცა კი მდიდარი სვამს თუმნიან შამპანურს და ზოგჯერ ორ თუმნიანს ღვინოს, მისთვის პირადათ ეს მცირე რამ ხარჯს შეადგენს, მაგრამ იგი ამით ხმარობს საფასურს, რომელიც ედარება ოცი დღის სანამუშევროს. ეს ოცი დღე მოტაცებულია საზოგადო ჯუმლითგან იმ დროებისა, რაც კაცობრიობას გადადებული აქვს არსებითი საჭიროების გასაძღოლათ, ყველას დასაკმაყოფილებლათ. მერე რა სარგებლობა გამოვიდა ამისგან? — გამოვიდა მხოლოდ წუთიერი გემოვნებითი სიამოვნე იმ ერთის ფშვიერობის, ბუკეთის გასასინჯათ, რომელსაც ძალიან გაწმინდიკებული გემოვნება ძლივს თუ შეამჩნევს. ვინ არ უნდა თქვას გადაჭრით, რომ ეს არის დაკარგული დრო შრომისა. გართულებულის აღებ-მიცემობის საფარავ ქვეშ ამის შენიშვნა ხალხს არ შეუძლია, მაინც კი შიგა და შიგ ხალხს ალღო ნაკრავი აქვს ამაზე. იმიტომაცაა, რომ ხალხს აბოროტებს ამგვარი გაშმაგებული მფლანგველობა, რომელსაც სჩადიან თუნდ ისინიც, ვისთვისაც ასეთი ხარჯი სამძიმო არაა. ეს არისო ბედოვლათობა, რომელიც შურისსაძიებლათ გვიწვევს, ამბობს გულბოლმიანი ხალხი. მართლაც, და ეს არის პარვა და ფლანგვა იმ დროებისა, რომელიც მთელ საზოგადოებას ეკუთნის, და მერე იმ დროს, როცა ამ საზოგადოებაში აურაცხელი ადამიანები იტანჯებიან შიმშილ-სიცივით.

სხვა პლანეთის მცხოვრებს რომ შეეძლოს ჩვენის დედა-მიწის დათვალიერება და დაინახოს, რომ ეს ამოდენი მილიონი კაცები არიან მზადებაში რაღაც მიქარვებისა, როგორც, მაგალითად, ძვირფასი თვლები, ბაფთები და მეტადრე თრიაქი და მაგარი სალეველება და ეგერ იმოდენსავე ადამიანებს საზარელ სილატაკეში სული ეხუთება, — ის უთუოდ ამას

იტყოდა: «ე, რა ბრიყვი და ბარბაროსი სულდგმულები ყოფილანო! საწყლები დროს ზიზილ-პიპილეების კეთებაში ატარებენ და სარჩო კი არ აბადიათო!» ამისთანავე არის მსჯელობა საეკლესიო მამათა, რომელნიც სახარების სინათლით განბრწყინვებულნი იყვენ. ეგრეევე სჯიდენ საპოლიტიკო იკონომიის მამებიცა, რომელნიც განათლებულნი იყვენ მეცნიერულის აღლეევით, ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ფუფუნობის გამამართლებელი სოფიზმები არ გაისმოდა კათედრებ-აუდიტორიებითგან.

ახალი ამბები და შენიშვნები.

მთავრობას განუზრახავს ჯამაგირის დაწესება იმ მართლ-მადიდებელ სამღვდელოებისათვის, რომელსაც მცირე შემოსავალი აქვს. პირველ წელს სახელმწიფო ხარჯთა-აღრიცხვაში შეტანილ იქმნება 250,000 მ., ხოლო შემდეგში ამ ხარჯს თანდათან მოუმატებენ, სანამ 6 მილიონამდე არ ავა ეს თანხა.

***

საბოლოოდ გადაწყვეტილია, რომ ყველა პირველ-დაწყებითი სკოლები, რომლებიც დღემდე ფინანსიის და სახელმწიფო ქონებათა საშინისტროების გამგეობასა ქვეშე იმყოფებოდნენ, დღეიდგან გადაველენ სახალხო განათლების სამინისტროს მხედველობაში.

***

ქუთაისის სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებლის საპატიო მზრუნველად დაინიშნა ქ. ქუთაისის მეორე გილდის ეაჭარი მიხეილ ივანეს ძე შნეიდერი. ბ. შნეიდერმა შესწირა ამ სასწავლებლის მოწაფეთა სასარგებლოდ 300 მანეთი, რათა ამ ფულით გამოწერილ იქმნეს სხვა-და-სხვა სასწავლო ნივთები მოწაფეთათვის. თუმცა დიდი ხანი არ არის, რაც ბ. შნეიდერი დაინიშნა ხსენებული სასწავლებლის საპატიო მზრუნველად, მაგრამ მისი მზრუნველობა ეხლავე დაეტყო სასწავლებელს და სასწავლებლის ეკლესიას, რომელსაც უხვად სწირავს სხვა-და-სხვა საეკლესიო ნივთებს.

***

ფრიად სამწუხარო ამბავი. ჩვენ გვაცნობებენ დ. ხონიდგან შემდეგ სამწუხარო ამბავს: «ხონის სამოსწავლებო სემინარიიდგან ერთბაშად გავიდნენ ყველა კლასის მოსწავლენი. გაშორდენ სემინარიას და ერთ ადგილას, ცა-წმიდას ქვეშ, დაინთეს ცეცხლი და დაბინავდნენ. მოწაფეებთან მივიდა ადგილობითი პოლიციის ბოქაული და სხვა პირებიც და ურჩიეს მოწაფეებს, რომ სემინარიაშივე დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ მათ ერთხმად განაცხადეს, რომ სემინარიაში ცხოვრება აღარ შეგვიძლიანო. დიდ შეწუხებაში ვართ და გამკითხავი არავინა გვყავსო. შემდეგ ბევრი დარიგებისა მოწაფენი მიეხვნენ ერთ აქაურს მცხოვრებს. ეს ამბავი მალე აცნობეს ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორს, რომელიც დაუყონებლივ მოვიდა ხონში, მაგრამ ვერ შეიძლო მოწაფეების სემინარიაშივე დაბრუნება. აცნობეს უმაღლეს მთავრობას. მოვიდნენ და დიდის ხვეწნის და თათბირობის შემდეგ მოწაფეები დააბრუნეს სემინარიაში. სემინარიის მოსწავლეთა შორის მრავალია რუსებიც, რომელნიც სხვაებთან ერთად გაიქცნენ სემინარიიდგან. ნუ თუ ამისთანა სამწუხარო მოვლენა უნდა ეხედავედეთ დღეს, როდესაც უმაღლესი ჩვენი მთავრობა არავითარ ლონეს და ფულს არ იშურებს, რომ ყველა სასწავლებელში სწავლის საქმე რიგიანად და წესიერად მიდიოდეს. ამისთანა სამწუხარო შემთხვევა პირველი არ არის ამ სემინარიაში და სასურველია, ბოლო მოეღოს ამ მოვლენათა მიზეზს.

***

ს. წალენჯიხიდამ (ზუგდიდის მაზრაშია) ჩვენ გვწერენ: «22 თებერვალს ამა წლისას ჩვენს სოფელში მოხდა საოცარი და საიდუმლოებით მოცული სიკვდილი... სიკვდილი ჩვეულებრივი მოვლენაა კაცობრიობის არსებობაში, ამისათვის მხოლოდ ისეთნი სიკვდილნი იპყრობენ ყურადღებას თანამედროვე საზოგადოებისა და მეტადრე მეცნიერთა, რომელნიც ამ ჩვეულებრივ მოვლენიდგან განსხვავდებიან. აი საქმე რაშია: თებერვლის ზეზოხსენებულ რიცხვს შენგელიას ქერივი გულქანა თვალთვაძის ასული წამოვიდა ფეხით ს. ობუჯიდამ სოფ. წალენჯიხში თავის მშობლების სახლში გარდაცვალებული ბიძის სატირლად. როცა გულქანი დაუახლოვდა თავის სახლს ნახევარ ვერსის მანძილზე, მორთო კივილი და ვაება. მის ტირილზე და კივილზე შეიკრიბნენ მეზობელ-ნათესაობა და ჭირისუფალთ სახლში «ნიშანი გააგეს». მოუჯდა ამ ნიშანს საბრალო გულქანი და იტირა-იმოთქმა მრავალი,—სხვათა შორის თავისი დიდის ხნის გარდაცვალებული ქმარიც ახსენა. შემდეგ ამისა წამოჯდა მტირალი იგი და დამსწრეთა გასაგონად წამოიძახა: «აწი მეყოფა ტირილი,—ამ წუთშივე მეც მათთან ვიქნებიო!»... თქვა და ლოგინზე დაეცა; მივარდნენ საცოდავს და თითის წვერი გაუჭრეს—იქნება გულს შეეშოეყარაო, მარა ამაოდ... წვეთი სისხლიც არსად სჩანდა, ერთი წამის წინ სიცოცხლით სავსე, ცხელის ცრემლის მფრქვეველი ადამიანი გახდა თვითონ სატირალი. ეს ყველაფერი კარგიო, მაგრამ ღირდა ამდენ წერად ეს ამბავიო? მიპასუხებს მკითხველი. კი ბატონო! მხოლოდ ერთი უკანასკნელი წინადადება, ამ წუთშივე მათთან ვიქნები—მაძლევს უფლებას აღვნიშნო და გზა არ ავუხვიო ასეთ სასულიეროს მხრით საყურადღებო გარემოებას. თქვა და გაათავა. თითქო მასზედ ყოფილიყოს დამოკიდებული მისი სიკვდილ-სიცოცხლე!!—წმიდანთა ცხოვრებაში ხშირად შევხვედრივართ, რომ რამოდენიმე დღით, გინა თვით რომელიმე წმიდანს ეწინასწარმეტყველოს თავის—ანუ სხვის სიკვდილის მოახლოვება, მაგრამ უბრალო სოფლის მანდილოსნისაგან ასეთი საოცარი წინასწარმეტყველება აუხსნელია!.. დიახ, ჩვენ ვერ ვიკისრებთ მის აღხსნას, თუ ვინ და რა მოვლენა ხსენებულს ადამიანს; დე, ეს აგვიხსნან სპირიტებმა და მცოდნეებმა, მხოლოდ დასასრულ კი ვიტყვით: ნუ თუ ამისთანა სიკვდილის შემდეგ მაინც არ ათრთოლდებიან ცდომილებაში ჩაცვივნულნი და ცოდვაში ჩაფლულნი ურწმუნოთა ურწმუნო გულნი?...

***

გაზეთში დასაბეჭდად ჩვენ მივიღეთ წერილები შემდეგ პირთაგან:

1) ვარციხის ღვთის-მშობლის ეკკლესიის მღვდლის ირაკლი ბაკურაძისაგან:

«მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, რომ თქვენის გაზეთის «მწყემსი»-ს საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ ჩემდამო რწმუნებული ვარციხის ღვთის-მშობლის ეკკლესიის მრევლთაგანს მქვრივს პოლინე ზალიკა ჩუბინიძისას, რომელმაც ზემო აღნიშნულს ეკკლესიას შემოსწირა 15 მანეთი სახარების მოსაჭედათ და სხვა საეკკლესიო ნივთის სასყიდლათ.

2) ს. კიცხის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდლის გიორგი ანთაძისაგან:

«მ. რედაქტორო, უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი პატივცემული ჟურნალის «მწყემსი»-ს საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადო როგორც მე, ისე ჩემმა მრევლმა ქვემოდ აღნიშნულ პირთ, რომელთაც შემოსწირეს ჩემდამო რწმუნებულ ეკკლესიას სხვა-და-სხვა ნივთები. აი შემწირველთა სიაც: აზ. ყაფლამ ავალიშვილმა ერთი საიაზმე ჭურჭელი თავისი უსუპით, ღირებულნი 12 მან., ერთი საცეცხლური 5 მ., მატრონა და ალექსანდრა ზურაბ მდინარაძის ასულთა, თითეულმა თითო მაცხოვრის ხატი, ღირებული 5 მ., იორამ მდინარაძემ მაცხოვრის ხატი ღირებული 2 მ. და ივანე ოქროჭელიძემ მაცხოვრისვე ხატი, ღირებული 2 მანეთად.

სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურეთა საყურადღებოდ.

ხშირად შეხვდებით სასულიერო წოდების პირთა, რომელნიც გაცხარებით ბაასობენ ზოგიერთ თავიანთ მოძმეთა შეცდომასა და მოქმედების შესახებ.

— „როგორ დავიჯერო, ეუბნება ერთი მეორეს, მან ეს წესი არ იცოდეს, რომ ასე შეცდომით იქცეოდა».

— «ალბად არ იცის, თორემ არც ამ შეცდომაში ჩავარდებოდა და არც ეგრე მოიქცეოდა», უპასუხებს მეორე.

მართლაც უნდა სქვას კაცმა, რომ ჩვენი სამღვდელოება ხშირად თავისი უცოდინარობით ისეთ მდგომარეობასა და შეცდომაში ვარდება, რომელიც ფრიად სამწუხაროდ ურჩებამას, თუმცა გამოცხადებულად არა, ფარულად მაინც. ყველა ამაების მიზეზი გახლავსთ რიგიანად და ჯეროვანად განუმარტებლობა რომელიმე საგნისა და მღვდელ-მოქმედებისა. თავის შეცთომას კაცი თვითონ ძნელად მიხვდება, გარეშე მაყურებელი კი ადვილად ნიშნავს. ამისათვის ამ სათაურით ჩვენ გავმართავთ სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურეებთან ზოგიერთი საგნების შესახებ საუბარს. ზოგიერთი ჩვენი მოძმენი, შეიძლება, სრულებით არ საჭიროებენ იმ კითხვების განმატებას, რომელზედაც ჩვენ მოგვ-ხდება ბაასი, მაგრამ ამისთანა ნასწავლნი და გამოცდილნი მწყემსნი ყოველთვის ცოტანი არიან და ნამეტანი ნაწილი კი. დარწმუნებული ვართ, მადლობელი დაგვრჩება.

რა და რა მოძრაობა სრულდება ლოცვისა და ლოცვების კითხვის დროს?

აი საჭირო და მიუცილებელი მოძრაობანი, რომელიც სრულდებიან ლოცვის დროს. პირზე ჯვარის გამოსახვა, თაყვანისცემა მცირე და ძლიერ თავმდაბალი, ხელით ჯვარის გამოსახვა მღვდელთაგან, მეტანია ნახევარი, სრული, დაჩოქებით ლოცვა, მაღლა ხელის აღპყრობა, თავდახრით დგომა. მაგრამ რომ დააკვირდეთ, ზოგიერთი მლოცველები, გასაოცარ სხეულის მოძრაობას ასრულებენ. ერთი ლოცვის და კითხვის დროს აქეთ-იქით ირწევა, მეორე ერთ ადგილას ვერ ჩერდება, მესამე თავს აქნევს, მეოთხე ასამაღლებელის წარმოთქმაზედ თავლებს ხუჭავს და იჭმუნვება. ერთი სიტყვით იმდენი სხვა და სხვა ახირებული სხეულის მოძრაობა სრულდება ზოგთაგან, რომ მაყურებელი გაოცებულია. ტრიბიკონს გარეშე ჩადენილი ამისთანა მოძრაობა სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურეთაგან თავიანთ მოძმეებში იწვევს მწუხარებას და სამწყსოთა შორის დაცინვას და განკიცხვას. ამისათვის მუდამ უნდა ვსცდილობდეთ, რომ ლოცვის დროს, როდესაც მღვდელ-მოქმედების ასრულება ჩვენგან ითხოვს სიარულს, მაშინ ვიდოდეთ წესიერად, დინჯად და აუჩქარებლივ.

როდესაც მღვდელი ასამაღლებელის წარმოთქმის დროს ხალხისკენ მიბრუნდება კურთხევისათვის, მისი მხედველობა ყველა მლოცველებზე უნდა იყოს მიქცეული და არა ერთსა და ორ პირზედ. ყოველი სიტყვა და ლოცვა, წარმოსათქმელი მღვდლისაგან მლოცველებისკენ მიქცევის დროს, უნდა იქნეს ბეჯითად წარმოთქმული, დაჭეშმარიტებით და აუჩქარებლად. ამისთანა შემთხვევაში მღვდლისგან პიჯვრის გამოსახვა უნდა აღარულდეს სწორედ და ნამდვილად.

მღვდელ-მოქმედების აღსრულების დროს შემოსილმა მღვდელმა არასოდეს არ უნდა იკადროს თავისუფალ პირთან ლაპარაკი, ან ხელის ჩამორთმევა და მისალმება. მღვდელ-მოქმედების აღსრულების დროს მღვდლის ყოველივე ყურადღება უნდა იყოს მიქცეული საღმრთო მოქმედების შესრულებაზედ. საღმრთო მოქმედების შესრულებამდის მღვდელმა უნდა მიაქციოს ყურადღება თავის ტანთ-საცმელს და ფეხსაცმელს. თუ მისი ტანისამოსი შემოსვის დროს საზოგადოების ყურადღებას მიიქცევს და დაცინვას გამოიწვევს მაყურებელში, სჯობს წინ-და-წინვე ეცადოს ააშოროს თავისთავი მაყურებელთა განკიცხვას.

მლოცველებს ყურადღება აქვსთ მიქცეული მღვდლისკენ ჩამოლოცვის დროს. თითქმის უმეტესი ნაწილი მღვდლებისა ამ დროს ძლიერ ჩქარობენ და ამ აჩქარებით მოსდისთ ის, რაც არ უნდა ხდებოდეს. ამის შესახებაც შემდეგში გვექნება ლაპარაკი.

განცხადებანი.

სახელმძღვანელოები და სხვა წიგნები,

დაწერილნი იაკობ გოგებაშვილის მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, საკრო და სამრევლო სკოლებში სახმარებელი, მეცხრე შევსებული გამოცემა, დაბეჭდილი წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ამ გამოცემაში ჩართულია თავში სახატავი სურათები და ბოლოში საწერი დედანი, ასე, რომ ამ წიგნის მხმარებელთ აღარ მოუნდებათ სყიდვა არც სახატაევებისა და არც დედნისა. ფასი ისევ ექვსი შაურია, ყდით ორი აბაზი. ეს წიგნი მოწონებულია და ქართულის ენის სახელმძღვანელოდ დანიშნული განათლების სამინისტროს მიერ და უწმიდესის სინოდისაგან... ვინც ერთად იყიდის ოც და ათს ან მეტს ცალსა წიგნი დაეთმობა ხუთ შაურათ, ყდით 33 კაპ.

ბუნების კარი, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეშვიდე გამოცემა, შემკული, სურათებით და საქართველოს ქარტით, დაბეჭდილია წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ფასი ყდით ოთხ-აბაზ უზალთუნი (90 კაპ.). უყდოთ ეს გამოცემა არ ისყიდება. ვინც ერთად იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცსა—თუთხმეტ შაურად და ვინც ოც-და-ათსა—თოთხმეტ შაურად. ეს წიგნიც მოწონებულია სამინისტროსაგან, როგორც „მშვენიერი სახელმძღვანელო ქართულის ენისა“ და აგრეთვე უწმიდესი სინოდისაგან.

კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, გამოცემა მეშვიდე, ფასი ორი შაური; ნარდათ 8 კაპეიკი.

ბინა საყმაწვილო მოთხრობათა ბუნების მეცნიერებიდგან, მესამე გამოცემა, სურათებიანი, ფასი ათი შაური, ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალსა, ცხრა შაურად მიეცემა წიგნი, ვინც ოცსა, ორ აბაზათ. წიგნი მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგანა.

ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება მოზრდილ ყრმათათვის, მეორე გამოცემა, ფასი ექვსი შაური. მოწონებულია სამინისტროსა და სინოდისაგან.

კუნწულა, ანუ საყმაწვილო მოთხრობანი, ფასი ორი აბაზი. მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგან.

იავნანამ რა ჰქმნა? მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის, ფასი ორი შაური.

ხატის მიზეზი? საყმაწვილო მოთხრობა, ფასი ერთი შაური.

ასპინძის ომი, საყმაწვილო მოთხრობა მეფე ერეკლეს სურათით და ქარტით, ფასი ორი შაური.

მირითადი უკულმართოება, პუბლიცისტური წერილი დედა-ენის მხიბლველობის შესახებ კერძო ადამიანის და მთელის ერის ცხოვრებასა და წარმატებაში, ფასი ერთი აბაზი...

РУССКОЕ СЛОВО, часть первая, изданіе третье, цѣна тридцать копеекъ, въ переплетѣ 40 копеекъ.

РУССКОЕ СЛОВО, часть вторая, изданіе второе, цѣна 40 копеекъ. Въ переплетѣ 50 коп.

РУКОВОДСТВО для учащихъ къ преподаванію русскаго языка по „Русскому Слову“, цѣна 50 коп.

Обѣ части ‹Русскаго Слова› одобрены въ качествѣ учебнаго руководства по русскому языку для грузинскихъ школъ, а «Руководство для учащихъ» одобрено для библіотекъ низшихъ и среднихъ учебныхъ заведеніи всего Кавказскаго учебнаго округа, и то и другое одобрено учебнымъ Начальствомъ, съ утвержденія Господина Главноначальствующаго. (Смотри „Сборникъ“ распоряженіи по управленію Кавказскимъ Учебнымъ округомъ стран. 1965 и 1967).

Равнымъ образомъ одобрено и рекомендовано Русское Слово› духовнымъ учебнымъ Начальствомъ.

(10—3)

ისყიდეგიან

დეკანოზი დავით დამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, ცენტრალურ და ბ. ხიდიკელის წიგნების მაღაზიებში, **ქუთაისში**—«მწყემსი»-ს რედაქციის სტამბაში და ძმ. ჭილაძეების და წერეთლის წიგნების მაღაზიებში და **ყვარელში**—თვით გამომცემელთან.

1) **დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზედ**, რომელიც უწმიდესი სინოდისაგან მოწონებულია როგორც სასწავლო საღმრთო სჯულისა საეკლესიო-სამრევლო და სხვა პირველ დასაწყის სკოლებში—ფასი . . . . 30 კ.
2) იგივე **დარიგება საღმრთო სჯულის სწავლაზედ** რუსულს და ქართულს ენაზე 50 კ.
3) **საქართველოს საეკლესიო ისტორია** ფასი ყდით . . . . . 45 კ.
4) **ქართული ლოცვანი**, თვეთა მეტყველებით, ქორონიკონით და მართლმადიდებელი ეკლ. უმთავრესი დღესასწაულების მოთხრობით.—ფასი . 30—
5) **ახალი კარაბადინი**, რომელიც განხილული და ნება-დართულია კავკასიის საექიმო რჩევისაგან.—ფასი . . 1 მან.
6) **მღვდელთმთავრის საადუმლოების შესრულების დროს საჭირო სახელმძღვანელო წიგნი**—ფასი ყდით . . . . . 30 კ.

7) ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება.—ფასი ყდით . 40 კ.
8) მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართველთ განმანათლებელი,—ფასი . 25—
9) გელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით აღმაშენებელისა.—ფასი . . . 25—
10) წმ. მოწამენი დავით და კონსტანტინე და მოწამეთის მონასტერი.—ფასი . 5—
წმიდანი მღვდელ-მთავარნი: ბასილი
11) დიდი, გრიგორი ღვთის-მეტყველი და იოანნე ოქროპირი, სურათებით—ფასი 5—
12) მირქმა უფლისა, სურათით.—ფასი . 2—
დიდ-პარხვის წინ, სურათით.—ფასი . 2—
13) ხარება ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა სურათით —ფასი . . 2—
14) ბზობა სურათით—ფასი . . . 2—
15) აღდგომა სურათით—ფასი . . 2—
16) პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი
17) თავის მეგობარ ქალთან . . . 5—
18) მეფე სოლომონ ბრძენი სურათით—ფ. 5—
19) აღწერა წმ. მოც. სწორის დიდის მთავრის ვლადიმირისა . . 2—
20) წმიდა ნინო ქართველთ-განმანათლებელი . 2—
21) შიო-მღვიმის მონასტერი და ცხოვრების აღწერა დირსისა მამისა ჩვენისა შიოსი სურათით—ფასი . . . 5—
22) მიძინება ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა, სურათით—ფასი . . 2 კ.
23) ამაღლება პატიოსნისა და ცხოველ-მყოფელისა ჯვრისა უფლისა სურათით 2—
24) ღვთის-მშობლის დაბადება—სურათით 2—
25) ტაძრად მიყვანება ღვთის-მშობლისა 2—
26) ესთერი სურათით.—ფასი . . 5—
27) წმ. მოწამე რაჟდენი—სურათით ფასი 5—
28) ისო ძისა ზირაქისა სურათით . . 5—
29) დაწყებითი გაკვეთილები საღმრთო სჯულის სწავლებაზე ფასი . . 15—
30) ცოცხალთა და გარდაცვალებულთა მოსახსენებელი კონდაკი (კარგი ყდით) 30—
31) 1893 წ. სასულიერო და საერო კალენდარი 20—
32) დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე.—ფასი . . 10—
33) ანდრია-პირველ წოდებული ისტორიული პოემა აკაკისა.—ფასი . . 5—
31) თამარ მეფე—სურათით . . . 5—
32) მეფე დავით III აღმაშენებელი . . 5—

კინტ ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუმნისა, მას მანეთზე დაეთმობა 15 კ.

კინტ 2 კ. წიგნაკებს დაბარებს არა ნაკლებ ასი ცალისა, ის ფოსტით გასაგზავნს არ იხდის.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„იბერია“

1893 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

12 თთვით	. .	10 მ.—კ.	6 თთვით	. .	6 მ.—კ.
11 »	. .	9 » 50 »	5 »	. .	5 » 25 »
10 »	. .	8 » 75 »	4 »	. .	4 » 75 »
9 »	. .	8 » — »	3 »	. .	3 » 50 »
8 »	. .	7 » 25 »	2 »	. .	2 » 75 »
7 »	. .	6 » 50 »	1 »	. .	1 » 50 »

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მან.

ტფილისის გარეთ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ Редакцію газеты „ИВЕРІЯ“

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. ბანცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზე თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო 1-ლი გვერდი—60 მან. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები, (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელთ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა გვაძლევს მაწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირ-და-პირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალ იქმნება ყოველ-დღე, კვირა-უქმების გარდა, 1-ლ საათიდამ 3 საათამდე და საღამობით 7-და 8-მდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გოუზინსკისეულს სახლებში, № 21.

მიიღება ხელის-მოწერა 1893 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემსზე“

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და საერო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გააცნოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გააცნოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საქმეო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა, ზემოხსენებულის პროგრამმის აღსრულების გარდა არის—1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

ფასი ჟურნალისა:

12 თვით «მწყემსი» 5 მ.	6 თვით «მწყემსი» 3 მ.
— „ ორივე გამოცემა 6 »	— „ ორივე გამოცემა 4 »
— „ რუსული „ 3 მ.	— „ რუსული „ 2 მ.

სოფლის მასწავლებელთ «მწყემსი» დაეთმობათ მთელის წლით სამ მანეთად.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვირილაში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვირილაში, აგრეთვე ქუთაისშიაც.

გარეშე მცხოვრებთა ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію журналовъ „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

მიიღება ხელის-მოწერა 1893 წლისათვის ორ თვიურ სასუმაწვალო სურათებიან ჟურნალზე

„ჯეჯილზე“

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი, და თითო წიგნში იქნება ოთხიდამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბახი, ანუ 64—80-დე გვერდი დიდის ფორმატისა.

«ჯეჯილში» დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთ-ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშო სათამაშონი და საეარჯიშონი, სამათემატიკო ამოცანები, იგავები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში დატარებით ეღირება—3 მანეთი, თბილის გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი იქნება 60 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით.

ნახატებიანი ახალი ჟურნალი

„კვალი“

(დამატება «ჯეჯილისა»)

გამოვა 1893 წლიდგან ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდგან სამ თაბახამდის.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში არწუნისეულ ქარვასლის სახალხო სამკითხველოში. ქალაქს გარეშე ხელის მომწერთა შეუძლიანთ მიიქცენ «ჯეჯილის» რედაქციაში ამ ჟურნალის დასაბარებლათ.

წლიურად ეღირება გაუგზავნელად 7 მანეთი, ხოლო გაგზავნით 8 მან.

რედაქტორი-გამომცემელი ან. თ-წერეთლისა.

შინაარსი: ოფიციალური განკოფილება: უმაზი მისი იმპერატორებითი უდიდებულესობისა, სრულიად რუსეთის თვით-მპყრობელისა, უწმ. უმართებელესი სინოდისაგან.—უწმიდესი სინოდის განკარგულება საეკლესიო სანთლების გარეგან ნიშნების დადგენის შესახებ.—სინოდის ქართლ-კახეთიმერეთის კანტორისაგან.—უმაღლესი ბრძანება.—უმაღლესი ჯილდო.—იმერ. ეპარ. სასულ. მოვრობის განკარგულებანი.—

საალიტერატურო განყოფილება: ყველაფერი კარგად არის შედგენილი, რომ ჯეროვანად სრულდებოდეს.—საეჭვო კითხვების განმარტების გამო.—პედაგოგიური შენიშვნები სამრევლო სკოლის მასწავლებელთა საყურადღებოდ.—პედაგოგიის ისტორიიდგან—ნიკოლოზ ბარათაშვილი.—ფუფუნება.—წერილი რედაქტორთან.—პასუხი ბ. თ. ყორდანიას.—ახალი ამბები და შენიშვნები.—სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურეთა საყურადღებოდ.—განცხადებანი.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою. Кутаисъ, 20 Марта 1893 г.*

Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Хананов ыхъ на Нѣмецкой ул.

1893 წელსა, № 5—6 1—30 მარტს.

მწყემსი

ოფიციალური განყოფილება.

უქაზი მისი იმპერატორებითი უდიდებულესობისა, სრულიად რუსეთის თვით-მპყრობელისა, უწმიდესი უმართებელესი სინოდისაგან.

ფინანსიის მინისტრისაგან მოხდენილი განკარგულებანი შესახებ მისა, თუ როგორ უნდა მიეცეს სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებათაგან ეკლესიებს და მონასტრებს მათდამი კუთვნილი ფულები, და აგრეთვე საკრედიტო დაწესებულებაში კრებულთაგან შეტანილი ფულების და სარგებლიანი ქაღალდების გადატანა ეკლესიების სახელზედ, რომელთაც ეკუთვნიან კრებულნი და ეკლესიების სამუდამო თანხების შესახებ:

უქაზისამებრ მისი იმპერატორებითის უდიდებულესობისა, უწმიდესმა უმართებელესმა სინოდმა მოისმინა წინადადება უ. სინოდის ობერ-პროკურორისა, 23 ოქტომბრიდამ ამა წლისა № 15819, ფინანსიის მინისტრისაგან მოხდენილ განკარგულებათა გამო შესახებ იმ წესთა, თუ როგორ უნდა მიეცესთ, ანუ როგორ უნდა გადაიტან-გადმოიტანონ საკრედიტო დაწესებულებაში საეკლესიო კრებულთაგან შეტანილი ფულები და სარგებლიანი ქაღალდები იმ ეკლესიების სახელზე, რომელთაც ეკუთვნიან კრებულნი და ძირეული თანხები. ბრძანეს: მიეცეს სინოდის ობერ-პროკურორს სთხოვოს ფინანსიის მინისტრს, რომ მან მოახდინოს განკარგულება, რათა სახელმწიფო ბანკმა, მისმა კანტორებმა და განყოფილებათ მისცონ ეკლესიებს და მონასტრებს მათდამი კუთვნილი ფულები და სარგებელი, რომელნი ამის შესახებ წარდგენილ იქნება ჯერ-ჯერობით სბუთები და აღარ ეთხოვებოდესთ ამ ფულების მიღებისათვის განსაკუთრებითი ნება-რთვა ეპარქიალურ მთავრობათაგან და 2) მიეწეროს ტირგულიალურად ეპარქიებს უკვლა მღვდელთ-მთავრებს მოახდინონ განკარგულება, რათა საეკლესიო კრებულთა სახელით სახელმწიფო ბანკში, მის კანტორებში და განყოფილებებში შეტანილი ნაღდი ფულები და სარგებლიანი ქაღალდები გადატანილ იქმნეს იმ ეკლესიების სახელზე, რომელთაც კრებულნი ეკუთვნიან აღნიშნით, რომ ეს თანხები და მათი სარგებელი დანიშნულია კრებულთა საჭიროებისათვის, და მასთან დღეიდამ ფულების და თანხების შეტანა სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებაში მოხდეს ეკლესიების სახელით და არა კრებულთა სახელით, რის შესახებაც 20 მარტს ამა წელს № 3 უკვლა ეპარქიების მღვდელმთავრებს გაეგზავნათ ტირგულიალური უქაზები. ფინანსთა სამინისტროს მმართველმა, როცა მას დაეკითხენ 25 აგვისტოს ამა წლისა № 10164, აცნობა, რომ თანახმად უწმიდესი სინოდის ხსენებულ დადგენილებისა, 25 თებერვლიდამ—9 მარტიდამ ამა წლისა, სახელმწიფო ბანკმა, ტირგულიარულად, 7 აგვისტოდამ ამა წლისა № 76267, მისწერა თავის კანტორებს და განყოფილებათ, რათა მათ მისცენ მონასტრებს და ეკლესიებს მათდამი კუთვნილი ფულები და ხვედრი სარგებელი, როცა წარდგენილ იქნება ამისათვის საჭირო სბუთები და აღარ მოეთხოვოსთ კერძო ნება-რთვა ეპარქიების მთავრობათაგან და მასთან ბანკების დაწესებულებათ გაძღვა შემდეგ დარიგებათა: 1) ბანკში საეკლესიო კრებულთაგან შეტანილი ფულების გადატანა ეკლესიების სახელზე უნდა მოხდეს უსათუოდ მაშინ, როცა ამის შესახებ წერილობით განცხადებას შეიტანენ ადგილობითი კრებულნი; 2) გადატანილ უნდა იქმნეს: ვადით და უვადოთ შეტანილი ფულები, ფულები შემნახველ კასებისა და ფულები სარგებლიან ქაღალდებით შესანახავი, სულ ერთია, აღნიშნული ფულები შეტანილი იქნება თვითონ კრებულთაგან, თუ გარეშე პირთაგან და შემწირველთაგან; 3) ბარათებზე, მოწმობებზე ანუ წიგნებზე, რომელიც ეკლესიების სახელობაზე იქნებიანნ მიტემული, აღნიშნული უნდა იქმნეს, რომ ეს ფულები და მათი სარგებელი დანიშნულია კრებულთა საჭიროებისთ-

ვის; 4) თუმცა უწინდელს საბუთებზე (შეწირულ თანხების შესახებ მიცემული) იყო რაიმე წარწერა შესახებ ამ ფულების ან მათი სარგებლის დახარჯვის შესახებ, უველა ეს წარწერა სიტყვა-სიტყვით გადაწერილ უნდა იქნეს ახლად მიცემულ საბუთზე. ამას ფინანსიის მინისტრი დასძენს, რომ აღნიშნულ ცირკულიარში ჩამოთვლილია სხვა-და-სხვა თანხები, რომლებიც გადატანილ უნდა იქმნენ ეკლესიების სახელზე, მოსსენებული არ არის სამუდამო თანხები იმის გამო, რომ წესდებით ამ უვადო თანხების მისცემ ბილეთებზე ნაჩვენებია მხოლოდ, თუ ვის უნდა მიეცეს სარგებელი, ხოლო აღნიშნული არ არის, თუ ვის ეკუთვნის ეს თანხები. მიკიდეთ რა სახეში, რომ ფინანსიის სამინისტროს მმართველის და სახელმწიფო ბანკის მოხდენილ ჩვენებით განმარტებულია მოხდენილი ცირკულიარული უქაზი უწ. სინოდისა, 20 მარტს ამა წელსა № 3, უწმ. სინოდი ადგენს: ზემოდ აღნიშნული განკარგულებანი ამა საქმის შესახებ ფინანსიის სამინისტროს მმართველისა და სახელმწიფო ბანკისა, საჭირო შემთხვევაში სახელმძღვანელოდ, ეცნობოს დაბეჭდილი უქაზებით უველა ეპარქიების მღვდელ-მთავრებს, სამხედრო და ზღვათა სამღვდელოების პროტო-პრესვიტერს. დეკემბრის 9 დღესა 1892 წ.

ნამდვილ უქაზზე ხელი უწერიათ: ობერ-სეკრეტარს ს. პოლონსკის.

სეკრეტარს უშაკოვს.

უწმიდესის სინოდის განკარგულება

საეკლესიო სანთლების გარეგან ნიშნების დადგენის შესახებ.

უწმიდესმა სინოდმა 21 დეკემბრის—15 იანვრის 1892—93 წ. განკარგულებით დაადგინა: I. საყოველთაოდ ეცნობოს სასულიერო უწყებას, «სასულიერო უწყებაში» დაბეჭდვის შემწყობით, რომ, თანახმად 1890 წლის 14 მაისს დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს აზრისა, რათა უფრო წარმატებით შეიძლებოდეს ბრძოლა ყალბ და უკანონოდ წვრილ-წვრილად საეკლესიო სანთლების გაჭრობის წინააღმდეგ და აგრეთვე სანთლის ქარხნებისა, გვრძო პირთა, პოლიციის მოხელეთა და სასამართლოს უწყების სახელმძღვანელოდ, მორიგებისამებრ ბ-ნის სინოდის ობერ-პროკურორისა და ფინანსთა მინისტრისა, დადგენილია შემდეგი გარეგანი ნიშნები საეკლესიო სანთლებისა, რომ შეიძლებოდეს მისი გარჩევა იმ სანთლისაგან, რომელსაც საშინაოდ, საოჯახოდ ჴმარობენ: 1) სიგრძე საეკლესიო სანთლისა ერთი ექვსად მაინც აღემატება მის სისქეს, სიგრძეზედ აღებულს, და 2) საეკლესიო სანთელს თეორი პატრუქი აქვს, წითელ ძაფ ნარევი. ამასთან, როგორც ის სანთელი, რომელსაც ორივე ზემოაღნიშნული ნიშანი აქვს ერთად, აგრეთვე ერთ-ერთ ამ ნიშნიანიც საეკლესიო სანთლად უნდა იქმნას ცნობილი, ხოლო პირველს მუხლში ნაჩვენები ზომა საეკლესიო სანთლის სიგრძისა იმის სისქის კვალობაზედ არ უნდა იყოს დაცული იმ სანთლების კეთების დროს, რომელსაც განსაკუთრებული საღვთის მსახურო მნიშვნელობა აქვს და საოჯახოდ არ იხმარება, როგორც არის, მაგალითებრ, საადგომო სანთელი და სხვა, და II. ამასთანავე სასულიერო უწყებაში სახელმძღვანელოდ და თავიდგან ასაცილებლად საეპარქიო სანთლის ქარხანათა მიერ შესაძლებელ უთანასწორად საეკლესიო წმიდა სანთლის კეთებისა და ყიდვისა დაიბეჭდოს შემდეგი კანონდებულებანიც ხსენებულ სანთლების მომზადებისა და ყიდვის წესისა და ამ კანონდებულებათა დარღვევის პასუხის გების შესახებ: ა) 1890 წლის 14 მარტს უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს აზრის მიერ დადგენილია: 1) საეკლესიო სანთელი უნდა მომზადდეს წმინდა ფუტკრის ცვილისაგან. სრულიად: საეკლესიო სანთლების გარეგან ნიშნების აღწერა უნდა შედგენილ იქმნას სასულიერო უწყებაში, ფინანსთა მინისტრთან შეთანხმებისამებრ, და უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის მიერ უნდა წარდგენილ ექმნას უმაღრესებელესს სენატს, რათა გამოცხადდეს საყოველთაო საცნობლად. 2) ქარხნიდგან საეკლესიო სანთლის გამოტანა და ნარდად გაყიდვა ისე არ შეიძლება, თუ სრული დაბეჭდილ-შეკრული არ არის. თითო შეკვრა წონით ოც გირვანქაზედ ნაკლები არ უნდა იყოს და ზედვე უნდა ჴქონდეს აღნიშნული, რომელს ქარხანა-შიაც არის გაკეთებული, და წარწერილი: «საეკლესიო წმინდა სანთელი». 3) საეკლესიო სანთლით წვრილ-წვრილად გაჭრობის ნება არავის ეძლევა, ეკეკლესიათა და სასულიერო მთავრობის უწყებას ქვეშე მეოთე სანთლის საწყობთა და დუქანთა გარდა. 4) ეკეკლესიაში სახმარებლად სანთლის მომზადება არ შეიძლება, თუ წმინდა ფუტკრის ცვილისა არ არის, თუ ასეთი სანთელი გაიკეთეს საოჯახოდ სახმარებლად, რვა ცალზედ მეტი

ერთი გირვანქა ცვილისაგან, უნდა განესხვავებოდეს სეკულარული სანთლის გარეგანის სახითა და პატრუქის ფერით (პირველი მუხ. შენიშვნისა). 5) თუ არ წმიდა ფუტკრის ცვილის სანთელი გაკეთა ანუ გაყიდა ვინმემ, ერთი გირვანქიდგან რვა ცალზედ მეტი ჩამოსხმული, და მისი სახე და ფერი შეუთანხმა სეკულარული სანთლის გარეგან ნიშნებსა და პატრუქის ფერს, დამნაშავეს, ვინაცობაა დირსი არ არის უფრო სასტიკი სასჯელისა, მომრიგებელ მოსამართლეთა მიერ გარდასწყვეტ სასჯელთა დებულების მე-173 მუხლისამებრ, გადახდება ფულად ჯარიმა სასულიერო უწყების სასარგებლოდ არა უმეტეს სამასის მანეთისა და ჩამოერთმევა უწესოდ გაკეთებული სანთელი, რომელიც საეპარქიო მთავრობას გადაეცემა მისდა სურვილისამებრ მოსახმარებლად. 6) ქარხნიდგან გამოტანისა და ნაწილად გაყიდვის წესების დარღვევისათვის (მუხ. 2) დამნაშავეს გადახდება: ჯარიმა ფულად სასულიერო უწყების სასარგებლოდ არა უმეტეს სამის მანეთისა. 7) სეკულარული სანთლით წერილ წერილად ვაჭრობისათვის იმ პირთა მიერ, რომელთაც ამისი უფლება არა აქვთ, დამნაშავეთ გადახდებათ: ფულად ჯარიმა სასულიერო უწყების სასარგებლოდ არა უმეტეს სამის მანეთისა და ჩამოერთმევათ სულ მოლად სანთლები, რომელიც გადაეცემა საეპარქიო მთავრობის მისდა სურვილისამებრ მოსახმარებლად (მოვრ. კანონდებ. და განკარ. კრებული 1890 წლისა № 71 მუხ. 662), და ბ) 1891 წლის 27 მაისს უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს აზრის მიერ დადგენილია: I. საქმე სეკულარული სანთლების კეთებისა, დაცვისა და ყიდვის შესახებ (სასჯ: დებულების მე-483—485 მუხ., გაერძელება 1890 წლისა) უნდა წარმოებულ იქმნას იმ სასამართლო დაწესებულებაში, რომელიც დაარსებულია იმპერატორ ალექსანდრე მე-2 წესებანით, და უწინდელ სასის სასამართლო ადგილებში იმ წესით, რა წესიც დადგენილია ჯეროვან კანონების მიერ სახელმწიფო მმართველობის წესდებათა დარღვევისაგან, და ამასთან დაცული უნდა იქმნას შემდეგი წესები: 1) საქმის აღძვრა დაკანონებული აქვს პოლიციას, რომელმაც ოქმი უნდა შეადგინოს აღმოჩენილ წესის დარღვევის გამო, შეჰბრას ჩამოსართმევი სანთელი და სასლის სამართალი საჩივრის დაწყების ამბავი ატანობს ადგილობრივს სასულიერო კონსისტორიას ანუ უწმიდესის სინოდის ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორას: 2) საჩივრის გარჩევა აქვემდებარება მომრიგებელს მოსამართლეს, თუ ფულად ჯარიმის რაოდენობა და ფასი ჩამოსართმევ სასთლისა, თითოეულისა ცალკე, არ აღემატება სამასს მანეთს; 3) გამოძიებისა და განსამართლების დროს სახელმწიფო მმართველობის უფლებანი ენიჭება სასულიერო კონსისტორიებსა და უწმიდესის სინოდის ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორას; 4) თუ დამნაშავეს სხვა დანაშაულიც მიუძღვის ზემოხსენებულთან ერთად, იმ დანაშულთა სასჯელსა გამო ვერ ეპატიება ის ფულადი ჯარიმა, რომელიც მისჯილი აქვს სეკულარული სანთლის კეთებისა, დაცვისა და ყიდვის წესების დარღვევისათვის. II. იმ ადგილებში, სადაც შემოღებულია დებულება საერობო განყოფილებათა უფროსების შესახებ, სქმე სეკულარული სანთლის კეთებისა, დაცვისა და ყიდვის შესახებ, თუ ფულად ჯარიმის რაოდენობა და ჩამოსართმევ სანთლის ფასი, თითოეულისა ცალკე არ აღემატება 300 მანეთს, ექვემდებარება ერობის უფროსთა ანუ ქალაქის მოსამართლეთა უწყებას და სწარმოებს იმ წესით, რა წესიც დადგენილია სახელმწიფო მმართველობის წესდებათა დარღვევისათვის, და ამასთან დაცულ უნდა იქმნას ყოველივე ზემოდ ნაჩვენებ წესების 1 მუხლის პირველ, მეორე და მესამე პუნქტში აღნიშნული. III. ის სქმე სეკულარული სანთლის უკანონოდ კეთებისა, დაცვისა და ვაჭრობის შესახებ, რომელიც აღძრულია 1890 წლის 14 მაისის კანონის გამოცემამდე, უნდა გამოიძიოს და გაარჩეს უწინდელის წესით და დამნაშავენი უნდა დაისაჯნენ იმ სასჯელისამებრ, რომელიც დადგენილია 1808 წლის 28 აგვისტოს უმაღლესის ბრძანებით.

სინოდის ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორისაგან.

ამოწერილობა 1893 წლის 20 იანვრის მე-99 №-ით შემდგარ დადგენილობიდგან იმის შესახებ, რომ იდარით მიეცეს იმერეთის ეპარქიის კაცნის ეკლესიების მიწები გლ. კუპატაძეებს-

სინოდის ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორამ, დაინახა რა კაცნის ეკლესიების საკრებულო უწყებიდგან, რომ ამ ეკლესიების კუთვნილი მიწები, წინაღმდეგ არსებულ კანონ-დებულებათა (სასულიერო კონსისტორიების წესდების მე-945 მუხ), არ არის აღნიშნული უწყებებში, ამა 1893 წლის 20 იანვარს განიხილა საქმე იმის შესახებ, რომ კაცნის ეკლესიების მიწები ეჯარით

მოგეთ გლეხ კუპატაძეებს, და, სხვათა შორის, დადგინა: მიეწეროს საქმსარხოსოს სამრეკლო სამღვდელოებას, რომ უეჭველად აღნიშნონ ხოლმე საკრებულოს შეკრებებში ეკლესიების კუთვნილი უძრავი ქონება და იქაკე განმარტონ, ვის ხელშია ეს ქონება და ვინა სარგებლობს. ბალღოზინებს კი დაეკალოთ, რომ სასტიკი თვალ-ყური აღვინონ ამ დადგენილობის ასრულებას.

ყველა ეს უქაზები იბეჭდება გაზეთ «მწყემსში» საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის განკარგულებით სამღვდელოების საყურადღებოდ და საჭირო შემთხვევაში სახელმძღვანელოდ.

უმაღლესი ბრძანება.

უმაღლესის სახელ-წოდებულის ბრძანებით, რომელიც ბოძებულია წარსულ დეკემბრის 21-სა დღესა საიმპერატორო საკაცთ-მოყვარეო საზოგადოების საბჭოს სახელობაზედ, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესს პალლადის, მიტროპოლიტს ს.-პეტერბურგისასა და ლადოგისას, ყოვლად უმაღლესად ნაბრძანები აქვს ყოფნა უმთავრესს მზრუნველად საიმპერატორო საკაცთ-მოყვარეო საზოგადოებისა და თავმჯდომარედ მისის საბჭოსი.

უმაღლესი ჯილდო.

ხელმწიფე იმპერატორმა, სინოდის ობერ-პროკურორის უქვეშევრდომილესის მოხსენებისამებრ, თანახმად უწმიდესის სინოდის დადგენილებისა, 16 დღესა ამა მიმდინარე იანვრისასა ყოვლად უმოწყალესად კეთილ-ინება და ბრძანა, დაჯილოებულ იქმნას ფლადიმირის მე-4 ხარისხის ორდენით შტატს გარეშე მყოფი მღვდელი ორხევის წმ. გიორგის ეკლესიისა, გურია-სამეგრელოს ეპარქიისა, სიმონ ასათიანი, უფლისა ეკლესიისა 50 წლის განმავლობაში უნაკლო, წარჩინებულ და გულმოდგინე სამსახურისათვის.

იმერეთის ეპარქიის სასულიერო მთავრობის განკარგულებანი

ს. ნუნისის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი სპირიდონ დონდაძე დათხოვნილ იქმნა თავის თხოვნისამებრ სამსახურიდგან და წარდგენილ იქმნა პენსიაზედ. მის ადგილზე გადაყვანილ იქმნა ხეკის ჯვრის ეკლესიის მღვდელი სემინარიაში კურს დამთავრებული ფარნაოზ ვეფხვაძე.

ხევის ჯვრის წმ. გიორგის შტატის ეკლესიის მღვდლად ხელდასხმულ იქმნა სტუდენტი სასულიერო სემინარიისა იაკინთე გორგაძე.

სოფ. ლიკორწმიდის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მღვდლად ხელდასხმულ იქმნა სტუდენტი სემინარიისა ამვროსი ფოფხაძე.

მარელისის ღვთის-მშობლის ეკლესიის მღვდელი ექვთიმე ინასარიძე დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან მოხუკებულობისა გამო და მის ადგილზე გადმოყვანილ იქმნა ხევის-ჯვრის ეკლესიის მღვდელი იაკინთე გორგაძე, ხოლო იაკინთე გორგაძის ადგილზე ხევის ჯვრის მრეველის მღვდლად ხელდასხმულ იქმნა სასულიერო სემინარიაში კურს დამთავრებული კონსტანტინე ხუსკივაძე.

ქუთაისის სასაფლაოს მთავარ-ანგელოზის ეკლესიის მთავარ-დიაკონი ერთაოზ ნიკოლაძე ხელდასხმულ იქმნა ს. იანაშაურის ეკლესიის მღვდლად, ხოლო ნიკოლაძის ადგილზე ხელდასხმულ იქმნა მთავარ-დიაკენად სამოსწავლო სემინარიაში კურს დამთავრებული სიმონ ცინცაძე.